

ნანა კაჟილოტის ფოტო

მთელი სამყარო უსასრულო ღვთის ტაძარია,
და ქრისტეს სჯული სიყვარულის დედო-ზარია.

ო, დედა-ზარო, გუგუნებდე და გვაფხიზლებდე,
ხმას მიაწვდენდე ახლობელს თუ შორით მისრეთელს.

ერო, ამ ზარით ამაღლდები ვარსკვლავთ ხომლამდე,
ერო, ეს ზარი აგაშორებს ყველა ხურვებას.
ღმერთმა ნუ ქნას და, ზარი ესე რომც ჩამოვარდეს, -
მთელს საქართველოს მუზარადად დაეხურება.

ო, დედა-ზარო, - მუზარადო, ჩაფხუტ-ჩაჩქანო,
ჩვენი მოშურნე, ჩვენი მტერი არ აჭაჭანო.

გააპეთ შუაზე ეს ბავშვები, დაიდეთ ცოდვა!
გააპეთ შუაზე და იხუვლებს დრო ლეგენდებად:
ყველა ბიჭიდან გამოხტება პაატა, ცოტნე,
ყველა გოგოდან - ქეთევანი გამომზევდება.

ო, დედა-ზარო, შენ დამომღვრე ჩვენი ქალ-ვაჟი,
ეს მიწა-წყალი შენ აკურთხე მეხგადავლილი.



ო, ღვთისმშობელო, შენ ჩაისვი ღვთიურ კალთაში
ჩვენი პატარა საქართველო შემკრთალ კრავივით...

ზარო კეთილო, დაჩოქილი მინდა გისმენდე,
რეკდე... გრგვინავდე... გუგუნებდე... და გვაფხიზლებდე...

შენ წმინდა კაცო, ფეხადგმულო ქრისტეს საყდარო,
უნდა გვაჯობო და სწორი გზით უნდა გვატარო.
ჩვენი ვალია, მაგ სწორ გზაზე მოგყვეთ ბოლომდე,
ლომი კრავობდეს, მაგრამ ზოგჯერ კრავიც ლომობდეს!

იმ ღამით რად არ შეამრწუნე ერი გულადი,
სიკერპე რად არ შეაჩვენე ერში შემძვრალი,
ქრისტეს მუხლებში და ერს ფეხქვეშ რომ ჩაუვარდი,
დრტვინვით, გოდებით ცა და მიწა რად ვერ შესძარი!

ერის მამაო, ცის და მიწის სათნო ხიდი ხარ,
და უფლის სიბრძნით აშომშინებ კაცთა სიცეტეს,
ამ ზარს, დედა-ზარს, ენასავით, ვიცი, ჰკიდიხარ,
მაშ, სცემდე... სცემდე... არისხებდე.... და გვაფხიზლებდე.

შოთა ნიშნიანიძე

ფოტო-რეპორტაჟი



ქართული რთველი ამერიკაში

# იუბილარი

ლეგენდა




მამულს გული უპირველეს ყოველისა!

# მამული

ხუთი წლის „მამული“ თავისი საიუბილეო ნომრის თავფურცელზე მადლობას უხდის გაზეთ „ასავალ-დასავალს“ და მის რედაქტორს, ბატონ ლაშა ნადარეიშვილს უანგაროდ გვერდში დგომისათვის, გაზეთის თითოეული ნომრის შექმნაში ჩადებული ფასდაუდებელი წვლილისათვის.

ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში * ნოემბერი, 2008 N49 * გამოცემის მე-5 წელი * ასავალ-დასავალის პარტნიორობით

მამული



[illegible]





გილოცავთ!
# მამული მაინც სიტყვა ჩვენი

მახსოვს, პირველკლასელივით გავაყოლე საჩვენებელი თითი შენს თავფურცელზე გამოყვანილ მრგვლოვან „მარგალიტებს" და მზესწავლასავით ამომიფრინდა გულიდან შენი ულამაზესი სახელი - „მამული". მერე ფიქრები მომეძალა, შენს სახელთან გამოთქმულ ლექსთა სტროფები ამომიტივტივდა გონებაში და სამშობლოს საბურველში გავეხვიე:

- ჩვენი ქართული ანბანი, წინაპართა შექმნილი, ერისიონს მოწყვეტილი უსათუთესი ასოთაგანი... ისინი აქ დამხვდნენ, ამ უცხო მხარეში ჩემთვისაც აღმოცენდნენ, წყაროსთვალივით ციმციმებენ, ხელის ჩაქნევის საშუალებას არ მომცემენ, ნოსტალგიას დამაძლევინებენ... საოცარი გრძნობა დამეუფლა მაშინ.

მადლობელი ვარ გულიდან ამოთქმის საშუალებას რომ მაძლევდი და შენს ფიქრით სავსე ფურცლებსაც რომ ჩააწანი ჩემი სახელი.

**გიული ფერეთელი**

[illegible]

[illegible]

[illegible]





„მამულო", ჩვენო ნათელო სხივო ამერიკაში, იდღეგრძელე! გისურვებ ხვავიან მომავალს, ტირაჟის გაზრდას და მკითხველის სიყვარულს.

თქვენი წვლილი ქართულის განმტკიცებაში განუზომელად დიდია და შეიძლება შევადაროთ დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის ღვაწლს ქართული ენის სიყვარულის გასავრცელებლად ამერიკაში.

ცოტნე დადიანის გმირობას უტოლდება ბატონო მანუჩარ თქვენი თავგამოდება გაზეთის გამოცემის საქმეში და ქართული სულის ღირსების ქომაგობა აქ ამერიკაში. გაჩნდება რამე შეურაცხმყოფელი წერილი ამერიკულ თუ რუსულენოვან პრესაში?! თქვენ იქვე ხართ, ხმალმომართული და კალმის წვერით ებრძვით, აქვეყნებთ საპასუხო სტატიებს. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს.

**ნელი ქართველიშვილი**

[illegible]



[illegible]



ასე თუ ისე, შესაძლებლობის ფარგლებში, საქართველოშიც ვიცნობთ თქვენს „მამულს"!

ვიცით რომ უცხოეთში გამომავალი ქართულენოვანი გამოცემებიდან, მართლაც კარგი გაზეთია: კარგი რედაქტორიც ჰყავს და, რაც თქვენთვის კიდევ უფრო უკეთესია - კარგი მკითხველიც!

არ გადავაჭარბებ, თუკი ვიტყვი, რომ ნიუ-იორკში გამომავალი თქვენი გაზეთი ყველა ჩვენთაგანისთვისაც ძვირფასი საჩუქარია!

ვინც ჩვენს ბუნებას კარგად იცნობს, იმათმა ისიც კარგად იციან, ქართველებს თავიანთი თანამემამულეები კი არა, თბილ ქვეყნებში გაფრენილი ჩვენი მერცხლების ბედიც გვაწუხებს!

ხანდახან ვნატრობთ კიდეც...

თქვენი მალე დაბრუნების სადღეგრძელოს ვსვამ, ძვირფასო ქართველებო!

შენს საყვარელ გაზეთსაც წარმატებას ვუსურვებ, ჩემო მანუჩარ!

უღრმესი პატივისცემით,
**თამაზ წივწივაძე**

[illegible]




**ამერიკაში გამომავალი ქართულენოვანი გაზეთის მთავარ რედაქტორს, ბატონ მანუჩარ კაჭახიძეს!**

ჩემო მანუჩარ! შენ ოკეანეთა გადაღმა გააცოცხლე საქართველო და ქართული სული... მერე რა, რომ ჩვენ 8 სასაათო სარტყელი და 9 000 კილომეტრი გვაშორებს, **მამულში მზე არასოდეს ჩადის!** და ვისაც მამულში მზის ჩასვლა სწადია, სწორედ ამისთანების გასაგონად -

დავმახოთ ლილე მტრების ჯინაზე,
გადავიაროთ გზები ნარ-ეკლის...
ჩვენ საქართველოს მწვერვალებიდან
ღრუბლები დაგვრჩა გადასარეკი!

**ლაშა ნადარეიშვილი**
„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლის მთავარი რედაქტორი



**გაზეთი დასაბეჭდად გასული იყო, როცა მივიღეთ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ბატონ იულონ გაგოშიძის**

## დეპეშა

გაზეთ „მამულის" რედაქციას,
გამომცემლებსა და მკითხველებს,

გილოცავთ გაზეთის ხუთი წლის იუბილეს, მესმის რაოდენ ძნელია სამშობლოდან შორს ყოფნა იმ დროს, როცა ქვეყანას სასიკვდილო საფრთხე ემუქრება და როცა ყოველ ჭეშმარიტ პატრიოტს სამშობლოში ყოფნა სურს.

საქართველოში ომის შედეგად შექმნილი კრიზისი საგანგებო გამოწვევაა თითოეული ქართველისათვის. ამ გამოცდას ქართველებმა ერთიანობით უნდა ვუპასუხოთ, რადგანაც მხოლოდ ერთიანობა მოგვიტანს გამარჯვებას.

თქვენ ჩემგან არ გესწავლებათ, როგორი მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია პრესას.

გისურვებთ წარმატებას თქვენს პროფესიულ საქმიანობაში საქართველოს საკეთილდღეოდ.

თქვენი **იულონ გაგოშიძე,**
სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში

ბატონო მანუჩარ,

თქვენი დიდი დამსახურებაა ის, რომ „მამული" ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეს აკეთებს.

გილოცავთ გაზეთის ხუთი წლის იუბილეს და გისურვებთ: „ჟამმან ყოვლისმქმნელმან, გარდამქმნელმან ვერა შეცვალოს იერი თქვენი!"

**ქართველ ემიგრანტთა მომსახურების ცენტრი აშშ-სა და კანადაში**





საქართველოდან სალამს გითვლით და სიყვარულით მოგიკითხავთ, ედუარდ შევარდნაძე. სხვადასხვა წყაროებიდან მეც ბევრი რამ მსმენია თქვენს მშვენიერ გაზეთზე! დრო და დრო, მიწევს კიდეც შიგ თვალისჩაკვრა... გამძლეობას და უკეთეს საქართველოში დაბრუნებას გისურვებთ, ძვირფასო ქართველებო!..

პატივისცემით, **ედუარდ შევარდნაძე**
საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი



# მამუკა ვაშაკიძე

# ალილო

- ადექით, თქვე ჩაჩნებო! ნახეთ, რამხელა თოვლი მოსულა! - უთენია შემომესმა ბებიაჩემის ხმა. ბებია მოფერებით „ჩაჩნებს“ გვეძახდა. ახლაც არ ვიცი, რატომ გვეფერებოდა ასე ან ამ შუაგულ იმერეთში საიდან მოიტანა „ჩაჩნები“.

თავპირისმტვრევით გავრბივარ აივანზე. ბაბუა ხის ნიჩბით კიბიდან ჭიშკრამდე მიიკვლევს გზას: მუხლებამდე თოვლი დევს ეზოში, კიდევ თოვს. ჩვენი წითელი ქათმები თოვლში ეფლობიან და ფრთებს საცოდავად აფათქუნებენ. ბაბუა თვალით მანიშნებს, მაღაზიაში აპირებს პურის საყიდლად წასვლას, ეამაყება, როცა მივყვები. „წამეგეწია შვილიშვილი, ოლიფანტე!“ - სიცოცხლეს უხანგრძლივებს მეზობლის შეძახილი. ვიცვამ, გავრბივარ.

ქუჩაზე ჯერ არავის გაუვლია, ყველა ბაბუას ელოდება. იციან, რომ ჩაივლის, გზის გაკვალვა აღარ იქნება საჭირო. ყველა ეზოს კართან ელოდება. მივდივართ მე და ბაბუა და უკან მოგვყვება მთელი ქუჩა. „შენ აგაშენა ღმერთმა, ოლიფანტე, თვარა ვიქნებოდი კიდო კაი ხანს“, - ჩლიფინებს ბენიძეების ქვრივი.

სოფლის კოოპერატივის წინ ხალხია შეკრებილი. ნოქარს და ცხელ პურს ელოდება. ჩვენი მისვლაა და, მოსახვევიდან თუხთუხით მანქანა გამოჩნდება. ბავშვები მძღოლს პურის ჩამოცლაში ვეხმარებით - ჩვენ ურიგოდ მოგვცემენ, წესია ასეთი.

ბაბუა ფულს ახურდავებს. „ბალიშა კამფეტებს“ ყიდულობს. ღამით ალილოა. თეთრი ფული და ტკბილეული მეალილოებისთვის უნდა.

- ოლიფანტე, ნაშუადღევს გადმოვიდეს ბაღანა ჩემთან. სიმღერაში წავავარჯიშებ ცოტას, - ეუბნება ბაბუას კლუბის ყოფილი გამგე, ტრიფონ ფხაკაძე. იქვე ცხოვრობს კოოპერატივის გვერდით მეუღლესთან და მოხუც დედასთან ერთად, ტრიფონ ბაბუას ყოველთვის უზარმაზარი, თეთრი, შავწინწკლებიანი „ბაბოჩკა“ უკეთია ყელზე.

- აუცილებლად, ჩემო ბატონო, - თავს უქნევს ბაბუა.

- აგი არ გედეიღებს, - ცას გახედავს ბენიძეების ქვრივი, - კაია, ზამთარი თოვლით ფასობს, ბაღნებსაც გაუხარდებათ, მონატრებული არიან ქალაქში თოვლს.

მივდივართ.

ისევ დაეწყობიან ბაბუას უკან გადამფრენი წეროებივით მეზობლები. მივყვები ხტუნვა-ხტუნვით, გულზე ცხელი პურები მაქვს ახუტებული და ყუას ვაციცქნი.

- ორი აბაზის კანფეტი ვიყიდე, მანათის თეთრი ფული დავახურდავე, ჯანჯუხა და ტყლაპი ქე მაქვს სახლში, - თავის თავს ელაპარაკება ბენიძეების ქვრივი.

- ბაბუა, ჩემთან გადმოსვლა არ დაგავიწყდეს, - თავის ჭიშკართან მომაძახებს კლუბის ყოფილი გამგე.

- ჩემთანაც ხომ გადმოხვალ, ბაბუა, - ყვირილით მეუბნება ტერენტი ახობაძე, - ჩემი პაკუსიე გინდ ყოფილა სახლში და გინდ არა, მაინც არ იკბინება. ისე, მაგის ყეფას მაინც ვერ ვგებულობ და გასაგდებადაც მეცოდება ეგ დაფეხვილი. არ შეგაშინებს, ბაბუა.

ტერენტი ბაბუა ყრუა. ყურთან ზარბაზანი რომ დაუცალო ვერ გაიგებს. გორიკის მახლობლად ცხოვრობს, გზიდან კარგად მოშორებით. ბავშვებს ღამღამობით გვეშინია გორიკასთან გავლა. გორიკას პატარა გორას ეძახიან, რომელიც შუა სოფელში ისე უაზროდ წამომართულა, ადამიანის გაკეთებული გეგონებათ. უხსოვარ დროს აქ სასაფლაო ყოფილა. მერე ხალხს ურმებით მიწის გაზიდვა დაუწყია ეზოების მოსაზვინად და მოსატკეპნად. დროჟამმა დააპატარავა გორიკა. ამბობენ, უამრავ მიცვალებულთათვის ჩატარებულ საოჯახო ნივთს პოულობდნენო. მიცვალებულთა სულები ახლაც დასდევენ ღამღამობით გორიკას სიახლოვეს გამვლელებს, ჰგონიათ, ისევ მიწის წასაღებად არიან მოსულებიო. ბავშვებსაც ხშირად გვაშინებდნენ გორიკელი მიცვალებულების სულებით.

- გამევივლით, ტერენტი ბაბუა, გამევივლით, - ვუქცევ იმერულად.

●

სანამ შებინდდება, ტრიფონ ფალაძესთან გადავდივარ. მეუღლე სამზადში ფუსფუსებს, ბუხართან ტახტზე ტრიფონის მოხუცი დედა წამოწოლილა, ბუხრის წინ კი ჯორკოზე ნოვეია გიჟი ზის და სველ ფეხებს იშრობს.

- აბა, დევიწყოთ! - ოთახში ბოლთას სცემს ტრიფონი და ისეთი სერიოზული სახით გადმომყურებს, თითქოს კონსერვატორიაში ვიყო მისაღებ გამოცდებზე.

ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და-ააა,
ოჰოჰოო, ოი, ალილოოო...
ჩიტი ღობეზე შემოჯდა,
იგალობა ქრისტეშობა დააა,
ოჰოჰოო, ოი, ალილოოო...
ალათასა-ბალათასა, ხელი ჩაჰკარ
კალათასა და,
ოჰოჰოო, ოი, ალილოოო...
ერთი კვერცხი გადმოიგდე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა და...

ეზოში შევდივარ მე და სიმღერაც სადღაც ქრება. ტრიფონს ხელში დირიჟორის ჯოხი უკავია, ოთახში დადის და ჩემს ხმას ჰყვება.

- აი, აქ, ბაბუ, მარცვლით უნდა, აი, ასე: ოცდა-ოცდა ხუთსა დე-კემ-ბერ-სა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო და-ა-ა. ხომ უფრო კარგი გამევიდა!

- კი, ბაბუა, - ვუქნევ თავს.

- იგი არ გამოგრჩეს, მთავარი ესაა - „არიელი-მარიელი ნუ გამიშობ ცარიელი დაა“. წესით „გამიშვებ“ უნდა, მაგრამ ჩვენებურად ასეა. აჭაურებს ასე მოეწონებათ, - ისე დამაჯვალიანა, თითქოს თვითონ აჭაური კი არა, მილანიდან ჩამოსული ყოფილიყო.

- იგი, კიდო, იგიცა თქვი, - როგორც იქნა, ხმა ამოიღო აქამდის პირდაღებულმა ნოემ, - თუ ძღვენს გამოგიტანენ, უნდა უმღერო „მთას ურემი ევიტანე, ჩამევიდა გორებითო, თქვენი ოჯახი ეივსო ბარაქით და ქონებითო“. თუ არაფერი გამოიტანეს და ძაღლი წაგისისინეს, დოუმატე: „მატარებელი გეიქცა, შენი ოჯახი დეიქცაო“, - თქვა და ხითხითი დაიწყო.

- გაჩეი, შე აბდალა! რავა შეიძლება მაგის თქმა ამ წმინდა დღეს! - დაუცაცხანა ტრიფონის მეუღლემ.

- Эх бедный идиот, - პათეტიკურად ჩაილაპარაკა ტრიფონმა.

●

დაბინდებისას ჩემი ბიძაშვილი კობა გადმოვიდა, ჩემი თანატოლი, მაგრამ, როგორც ყველა სოფლელი ბავშვი, ადრე დაბრძენებული. დიდი კაცივით მოგვილოცა დამდეგი შობა.

- მოი, ბებია, დაჯექი, გათბი ცოტა და წაით მერე. თლათ დაღამებას ნუ დაელოდებით, - სუფრის გაწყობა გააგრძელა ბებიამ, მერე კარადის უჯრიდან თეთრი ტილოს მოზრდილი ტომარა გამოგვიტანა.

- ახლა თლათ თავს ნუ მეიკლავთ, - თან გაზეთისთვის თვალი არ მოუშორებია ბაბუს. - ერთხელ იმღერეთ, ვინც გამოსასვლელია, ერთ ალილოზეც გამოვა. ახობაძეებისკენ წუწკალი ძაღლები ყავთ და მეერიდეთ, მთლა ეზოში ნუ შეხვალთ.

კობამ ტომარა უბეში ჩამიჩურთა, ბებიამ პირჯვარი გადაგვწერა და წავედით.

- იცოდე, ჩვენი მეალილოეც თქვენ უნდა იყოთ, - მოგვაძახა ჭიშკარში გადასვლამდე ბებიამ.

●

გეიყინეთ, ბაღნებო? - ღიმილით შემოგვეგება შინ დაბრუნებულებს ბებიაჩემი, - დეიბერტყეთ წინკარში მაგი პალტოები და გათბით.

მე და კობამ პირთამდე სავსე ტომარა ტახტთან „მივაწვინეთ“, ჯიბეები ამოვიტრიალეთ და ხურდა მაგიდაზე ამოვყარეთ.

- თქვე ჩაჩნებო, ჩვენ არ უნდა გვიმღეროთ ალილო?! - გაშლილ სუფრასთან დატრიალდა ბებია.

ერთმანეთს გადავხედეთ.

- აქანა ვიმღერებთ, - დაიზარა კობას გარეთ გასვლა.

- იმღერონ ბაღნებმა აქანა, - გამოგვექომაგა ბაბუა.

„ოცდა-ოცდა ხუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და-ა-ა“...

დასჭექა ჩემმა ბიძაშვილმა. მეც ავყევი. ჩავითავეთ. ბაბუამ ხურდა ფული და ხილი ჩაგვიყარა ჯიბეებში. ორივეს გვაკოცა. ბებიამ მალულად ცრემლები შეიმშრალა და პირჯვარი გადაგვსახა.

- ყველას ხო ჩამოუარეთ, ბებია? - გვკითხა და პალტოების გახდაში დაგვეხმარა.

- მარტო ტერენტია ყრუსთან არ ვყოფილვართ, - ჩაილაპარაკა ძღვნის გაყოფაში გართულმა კობამ, - მაი, ნადია ბებია, მაინც ვერ გეიგებდა და... თან შორეა, იქნობამდის ვერ წავედით, წყვარამია გარეთ.

- აგი რაი მითხარით, მეალილოესთვის შორი რას მიქვია და წკვარამი! მაცხოვარი ყველაზე იშვა, ბებია, ვინაცვალე მის სახელს.

ქურდობაზე წასწრებულივით გავშეშდი. ბებიას პალტო გამოვართვი, სკამიდან ქუდს დავწვდი.

- ახლავე მოვალ! - გავძახე და ჭიშკრისკენ გავიქეცი.

მუხლებამდე თოვლში მივრბოდი. ქუჩის განათებაზე კარგად ჩანდა, რა ხვავრიელად თოვდა. ერთი-ორჯერ დავეცი, მაგრამ არაფრად ჩავაგდე. მხოლოდ იმის შიში მქონდა, გორიკა რომ უნდა გამევლო.

ქუჩიდან შუკისკენ გადავუხვიე, იქით ისე ჩაბნელებულიყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი, სადღაც, გორიკას იქით მოჩანდა ჩაყვითლებული ნათური. იქ ცხოვრობდა ტერენტი ბაბუა. ბეწვის ქუდის ყურები ჩამოვიშალე და ზონრებით შევიკარი, პალტოს საყელო ავიწიე, თითქოს ეს შიშს გამიქრობდა, იქით, არც გამიხედავს, ისე გავაგრძელე გზა. ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი მბჟუტავ ნათურას. შიშისგან სიმღერა დავიწყე. უფრო იმის გამო, თითქოს ავ სულს დავაფრთხობდი.

ოცდა-ოცდა ხუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და-ა,
ოჰო-ჰოო, ოი ალილო-ო.
ალა-ალათასა ბალათასა,
ხელი ჩაჰკარ კალათასა და
ოჰო-ჰოო, ოი ალილო-ო.

მივაღწიე ტერენტი ბაბუას ჭიშკარს, ძაღლის ყმუილის ხმაც მომწვდა, ეტყობოდა, არავის უგალობია ალილო. ახლომახლო ნაფეხურები არ ჩანდა. ჭიშკართან შევჩერდი და გავაგრძელე.

არი-არიელი მარიელი,
ნუ გამიშობ ცარიელი და
ოჰო-ჰოო, ოი ალი-ლოოო...

უეცბ ძარღვებში სისხლი გამეყინა. ეზოში ზურგით სკამზე ტერენტი ბაბუა იჯდა. მუხლებამდე თოვლში იყო ჩაფლული, წინ გაწვდილი მარჯვენა ხელის გულზე აბაზიანები და კარალიოკის ჩირი-ეყარა, მარცხენა ხელი დაბლა ჩამოვარდნოდა და თოვლში ჩაფლულიყო. თავი უკან გადაეგდო. იმხელა თოვლში გაყინულ პატრონამდე ვერ მიღწეულიყო მისულიყო და ჭიშკრიდან კარგა მოშორებით, სამზადის წინ, ცას შეჰყმუოდა საცოდავი პაკუსია.



მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს მარინა ცვეტაევას სწორედ ის ლექსია, რომელსაც გიტარაზე მღერის ცნობილი კინოფილმის „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“ გმირი.

Мне нравится, что вы больны не мной.
Мне нравится, что я больна не вами,
Что никогда тяжелый шар земной
Не уплывает под нашими ногами.
Мне нравится, что можно быть смешной-
Распущенной- и не играть словами,
И не краснеть удушливой волной,
Слегка соприкоснувшись рукавами.
Мне нравится еще, что вы при мне
Спокойно обнимаете другую,
Не прочите мне в адовом огне
Гореть за то, что я не вас целую.
Что имя нежное мое, мой нежный, не
Упоминаете ни днем, ни ночью-всуе...
Что никогда в церковной тишине
Не пропоют над нами: аллилуйя!
Спасибо вам и сердцем и рукой
За то, что вы меня- не зная сами!-
Так любите: за мой ночной покой,
За редкость встреч закатными часами,
За наши не-гулянья под луной,
За солнце, не у нас над головами,-
За то, что вы больны — увы! —не мной,
За то, что я больна — увы! —не вами!

მომწონს, რომ ავად არა ხართ ჩემით,
მომწონს, რომ თქვენით არა ვარ ავად,
რომ ფეხქვეშ მიწა მძიმე და სველი
არ გატოკებდათ სულის შემძრავად.
რომ სასაცილოდ თავისუფალი
არ ვთამაშობდე ყალბი სიტყვებით
და არ გავწითლდე, როცა უბრალოდ
ერთურთს თითებით ველაციცებით.
და კიდევ მომწონს, გიცქერით როცა,
ეხვევით ვინმეს მოურიდებლივ
და არ მიგზავნით გეენას
კოცონს,
მეც საკოცნელად რომ არ
მინდებით.
რომ ჩემს ხსენებას
სათუთად თქვენში
არც დღით, არც ღამით არ გაუვლია,
რომ დიდი ტაძრის სიმყუდროვეში
არავინ გვეტყვის ალილუიას!..
მადლობას გიხდით გულით და ხელით,
გულით და სულით მადლობას გიხდით.
მადლობას გიხდით - გიყვარდით ისე,
რომ თქვენ თავადაც ვერაფერს მიხვდით.
მადლობას გიხდით ამ სიმშვიდისთვის
და იშვიათი შეხვედრებისთვის,
მთვარიან ღამით, დაბინდებისას
ჯერ არშემდგარი პაემნებისთვის.
რომ თავს არ გვადგას გვირგვინის დარად
ჩვენ შარავანდი ცხელი და მწველი,
ვწუხვარ, რომ ჩემით არა ხართ ავად,
ვწუხვარ, რომ ავად არა ვარ თქვენით!



# ოლღა მამიდა

ჩემს ბავშვობას რომ ვიხსენებ, იცით, რას წარმოვიდგენ?

ის იყო უგრძესი და ნათელზე ნათელი დღე, რომელსაც სამი კაშკაშა მზე ანათებდა.

დიახ, სამი!

სამი ქართველი ქალი: დედაჩემი, ელო ძალო და ოლღა მამიდა.

და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მათი სახელები ხშირად შემოგხვდებათ ჩემს მოგონებებში.

ვაპირებდი, ჯერ დედაზე მეამბნა, მაგრამ იმ ამბავში ერთი მნიშვნელოვანი რამ ვერ გავიხსენე ახლა. ამიტომაც შემდეგისთვის გადავდებ დედაჩემის ამბავს, მისი სული არ მიწყენს, თუ ჯერ იმას გიამბობთ, რაც ამ წუთას ძალიან მკაფიოდ დამიდგა თვალწინ.

ეს ამბავი რაჭაში მოხდა.

დილით სათოხარში წამიყვანა ბიძია გიორგიმ, ოლღა მამიდას მეუღლემ.

შეღმართზე მობიბინე სიმინდის ყანა, ყანის შუაგულს მუხა, ცხვირსახოცებით თავწაკრული რაჭველი გლეხი და პატარა ბიჭი, გვერდიგვერდ რომ იქნევენ თოხებს და მიიწევენ წინ, თანაც ზევით-ზევით...

ამ სილამაზის აღწერას ახლა არ დავიწყებ. ეს მერე იყოს...

შუადღისას ამოვიდა ოლღა მამიდა.

მუხის ქვეშ ბალახზე გაშლილი ქათქათა პირსახოცი, პატარა დოქი ღვინისა, ლობიანები, მწვანილი, ბოლოკი...

ტკბილი ცოლ-ქმარი, მათი ღიმილიანი საუბარი...

წელშიგამოყვანილ თხელ ჭიქაში ალექსანდროული და ცხრა წლის ბიჭისგან ნათქვამი სადღეგრძელო: ალალი, სიყვარულიანი, გულუბრყვილო და, ალბათ, ოდნავ სასაცილოც...

ესეც ერთი ლამაზი მოთხრობის თემაა, მერე იყოს...

მამიდას რაღაცა ჰქონდა სხვენიდან ჩამოსაღები და გამოვყევი.

ბიძია გიორგისთან მერჩია, ცხადია.

მის გვერდით კაცი ვიყავი. უკან რომ გავიხედავდი და ჩემგან გათოხნილს თვალით გავზომავდი, სიამე მეღვრებოდა გულში, და ის სიამე ალექსანდროულისასა ჰგავდა...

მოკლედ, მოვდივართ ოლღა მამიდა და მე. თოხი მხარზე მაქვს გადებული და მემაყება, რომ სათოხარიდან მოვდივარ...

გზისპირას უცნაური ხე იდგა.

დილით რომ გამოვუარეთ, მინდოდა, ბიძია გიორგისთვის მეკითხა, რატომაა ასეთი-მეთქი, მაგრამ სხვა ფიქრებში გავერთე და გადამავიწყდა.

ძალიან დიდი ხე იყო. ზედ მიწასთან ორად იყო გახლეჩილი, თითქოს ორი ხე მისტყუპებოდა ერთმანეთს.

საოცარი სანახავი იყო:

აბა, წარმოიდგინეთ, ხის ნახევარი ხასხასა ფოთლებით გაფოთლილი, მეორე კი - დანახშირებული.

მამიდამ პირჯვარი გადაიწერა და ჩუმად რაღაც ჩაიდუდუნა.

ახლა ვხვდები: ღმერთო, შენი სახელის ჭირიმეო.

- მამიდა, რატომაა ეს ხე ასეთი? - ვკითხე მამიდას და ხეს მივუახლოვდი.

- ღვთის ხეა, მამიდა, - მიპასუხა წყნარად.

არ შეიძლება იყოს, ყოფილიყოს ან როდისმე იარსებოს ქვეყნად რაიმემ უფრო თბილმა, ტკბილმა და ალერსიანმა, ვიდრე იყო ოლღა მამიდას მიერ ნათქვამი „მამიდა“.

მრავალი წლის შემდეგ, ერთ საშინელ შემოდგომაზე ნახევრად შეშლილი ბრბო რომ შემოჰკიოდა მთავრობის სასახლეს, მაშინ ვიფიქრე, ნეტავ მამიდა ოლღა გააცოცხლა და აქ მოიყვანა-მეთქი.

ერთს ეტყოდა, რა არის, მამიდა, რატომა ბრაზობთო.

და ყველანი გონს მოეგებოდნენ...

ახლა კი:

- რატომაა ღვთისა? - ვკითხე დაეჭვებულმა.

ცხრა წლისა ვიყავი. საბჭოთა სკოლაში დავდიოდი და პიონერი მერქვა.

საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი საქმე ღმერთის სახელის აბუჩად აგდება იყო, ქართულში, მადლობა ისევ ღმერთს, ეგრეთ წოდებული დიდი ასოები არაა, რუსულში კი არის, და ესეც ღმერთის წინააღმდეგ გამოიყენეს: მის სახელს პატარა ასოთი წერდნენ. არა „Бог“, არამედ „бог“.

ახლა ეს ყველაფერი სასაცილოა, მაშინ კი ზრდასრული ადამიანის სულშიც და ბავშვისაშიც მკრეხელობა ილექებოდა...

- ღვთისაა, მამიდა. ამ ხეს მეხი დაეცა, მაგრამ ღმერთს არ უნდოდა, რომ ხე მომკვდარიყო და მისი ნახევარი მაინც გადაარჩინა, - მიპასუხა მამიდამ.

- მამიდა, სადაა ღმერთი? - ვკითხე პიონერული ირონიულობით (თუ ირონიული პიონერულობით).

მამიდამ ვერ იგრძნო ირონია და მშვიდად მომიგო:

ზეცაშია, აბა, სად უნდა იყოს?

- მაშ, თუ ზეცაშია, რატომ მფრინავები ვერა ხედავენ?

რას გაიხარებდა საბჭოთა პროპაგანდის სულ დიდი უფროსი, ეს ჩემი სიტყვები რომ გაეგო!

- ღმერთს ვერავინ დაინახავს, მამიდა, ღმერთი ღმერთია...

ალბათ, მამიდას სიმშვიდემ გააბრაზა ის პიონერი, ჩემში რომ იჯდა.

- მაშ, თუ მეხისგან გადაარჩინა, ჩემი თოხისგანაც გადაარჩინოს! - ვთქვი და მოვიქნიე თოხი.

თოხის პირი ხის ცოცხალ მხარეს ჩაესო.

- ასე არ უნდა გექნა, მამიდა, - მითხრა მამიდა ოლღამ ჩუმად, შებრუნდა და გზა განაგრძო.

ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა ამოვაძრე თოხი და ერთხანს უაზროდ დავყურებდი თოხისპირზე ხის წვენისგან შერჩენილ სველ ზოლს.

მერე მამიდას გავეკიდე.

რომ წამოვეწიე, მითხრა:

- აბა, აჯობე, მამიდა, გიორგის?

- როგორ ვაჯობე?

- მითხრა, ჩემზე კარგადა თოხნისო...

ვიგრძენი, რომ განგებ სხვა რამეზე დამიწყო საუბარი, რათა ხე დაგვვიწყებოდა ორივეს.

და თუმცა ხმაში არ შესტყობია, ისიც ვიგრძენი, რომ გული დავწყვიტე...

შინ რომ დავბრუნდით, თოხი მივაყუდე თუ არა, უცებ თავბრუსხვევა ვიგრძენი.

- მამიდა, მგონი, ავადა ვარ, - ვთქვი ჩუმად.

მამიდამ შუბლზე დამადო ხელი.

- სიცხე გაქვს, მამიდა.

საჩქაროდ ჩამაწვინა ლოგინში და სამზარეულოში გავიდა.

ვიცოდი, რისთვისაც.

დედაჩემსაც, ელო ძალოსაც და ოლღა მამიდასაც სიცხის საწინააღმდეგო ერთი და იგივე წამალი ჰქონდათ: ძმრისა და არყის ნარევი.

მამიდამ საბანი გადამხადა და გამაშიშვლა. მერე ყელიდან ტერფებამდე დამზილა იმ ჯადოსნური ნარევით.

ვკანკალებდი. მამიდა პეშვით დამასხურებდა ნარევს, მერე ხელისგულით გაიტან-გამოიტანდა აქეთ-იქით და მზილავდა.

დასხურებისას ნარევი ისეთი ცივი მეჩვენებოდა, წამოვიკივლებდი ხოლმე.

- ახლავე, მამიდა, ახლავე, - მოფერებით მეუბნებოდა მამიდა.

მთლად რომ დამზილა, ორი წყვილი წინდა ჩამაცვა, ტანზეც ორი თბილი საბანი დამახურა და ყოველი მხრიდან საგულდაგულოდ შემომიკეცა. მერე ტილო ჩაასველა ნარევში, გაწურა, გაშალა, კოხტად გაკეცა და შუბლზე დამადო.



- დაიძინე, მამიდა, გაიღვიძებ და კარგად იქნები.

ვიცოდი, რომ მართლაც ეგრე მოხდებოდა.

რამდენიმე წუთს კიდევ მაკანკალებდა, მერე სასიამოვნოდ დამთბა მთელ სხეულში და ვიგრძენი, რომ სულ მალე ოფლი დამიწყებდა დენას, ოფლი კი სიცხეს გამოიტანდა.

ახლა, ვიდრე დავიძინებდი, ერთი რიტუალი უნდა აღმესრულებინა.

რა თქმა უნდა, მაშინ არ ვიცოდი ეს სიტყვები: „რიტუალი“ და „აღსრულება“. მაგრამ მომწონდა, რასაც ვაკეთებდი.

საერთოდ, ადამიანს იზიდავს რიტუალები, და რაც უფრო მეტი აქვს საზოგადოებას ლამაზი რიტუალი, მით უფრო მშვიდია იმ საზოგადოების ცხოვრება, მით უფრო კარგადა გრძნობენ თავს ადამიანები...

რა იყო ჩემი რიტუალი?

ვიწყებდი ფიქრს იმაზე, რომ დედაჩემის, ელო ძალოსა და ოლღა მამიდას უებარი წამალი აფთიაქებში უნდა იყიდებოდეს და ზედ ეწეროს...

რიტუალის მთავარი ნაწილი სწორედ იმაზე ფიქრი იყო, თუ რა უნდა რქმეოდა იმ წამალს. ერთი ცხადი იყო, რომ წამლის სახელში უნდა გაერთიანებულიყო სამი სახელი: ეკატერინე (ასე ერქვა დედაჩემს), ელო და ოლღა.

ჰოდა, ვფიქრობდი, რომელი აჯობებდა: ეკელოლ-ი თუ ელეკოლ-ი, ან იქნებ ოლელეკ-ი? იქნებ ეკოლელ-ი? ელოლეკ-ი?

ოლეკელ-ი?

რიტუალის დასკვნითი ნაწილი ის იყო, რომ სიცხისგან ისედაც გახურებული ჩემი ტვინი ცდილობდა, ამ სამი მარცვლისგან (ეკ ელ და ოლ) კიდევ ერთი სიტყვა მაინც შეედგინა.

და ამ მცდელობაში ჩამეძინებოდა ხოლმე!

რომ გავიზარდე და მათემატიკის რაღაც-რაღაცა კანონები ვისწავლე, აღმოვაჩინე, რომ, თურმე, ამაოდ ვეძებდი წამლის მეშვიდე სახელს, ეკ, ელ და ოლ მხოლოდ ექვსნაირად შეიძლება დაეწყოს.

არ გამცინებია ჩემი ბავშვობის ფიქრებზე.

იმ რიტუალში ხომ მთავარი ის იყო, რომ ჩემს უსაყვარლეს სამ სახელს ვიმეორებდი და ვიმეორებდი...

გამომაღვიძა შუბლზე მამიდის ხელისგულის შეხებამ.

მამიდა მიღიმოდა.

მეც გავუღიმე.

ერთი ხელი ისევ ჩემს შუბლზე ედო, მეორესა მალავდა.

- რა მოგიტანე, თუ იცი, მამიდა? - მკითხა.

ცხადია, ვიცოდი.

- თეთრი ბლის მურაბა, ხომ?

- ჰო, მამიდა, - გამომიწოდა მინის ნახევარკილოიანი ქილა. ქილაში დიდი კოვზი იდგა თავდაყირა. სწორედ რომ იდგა. ქილის კედელს არ ეხებოდა ტარით. შუაგულში იყო აღმართული.

მამიდამ სასთუმალი გამიმაღლა. ორი ბალიში დაადო ერთმანეთს.

მივეყუდე ბალიშებს და კიდევ ერთი რიტუალის აღსრულებას შევუდექი.

მამიდას არ უთქვამს, სულ ნუ შეჭამ, მთელი ქილა მურაბა გაწყენსო.

ვჭამდი მურაბას და ბედნიერებაზე ვფიქრობდი.

ცხადია, არც ამ სიტყვის არსი ვიცოდი, მაგრამ ფიქრებით ნამდვილად ბედნიერების რაობას ვაანალიზებდი.

ბედნიერება ვისთვის რაა და ვისთვის კიდევ - რა.

მე კი იმასა ვფიქრობდი, რომ ახლა ვჭამ თეთრი ბლის მურაბას, ხოლო ხვალ მამიდა ნებას დამრთავს, რომ ავდგე. ავდგები, ავიღებ ბურთს და კენწვლაში ვივარჯიშებ, მერე ჯოხის ხმლით თავს წავაწყვეტ „მტრებს“ - ბაღის ღობესთან ამოსულ ჭინჭრებს, მერე ავალ კაკალზე...

და უცებ ის ხე გამახსენდა.

გამახსენდა, თუ როგორ ჩაერჭო ჩემი თოხის პირი ხის სხეულში.

- მამიდას გული დავწყვიტე, - ესა ვთქვი და ვიგრძენი, რომ მურაბა აღარ მინდოდა. თითქოს გაუგემურდა.

- დღეს არაფერს მეტყვის მამიდა, რადგან ჯერ ისევ ლოგინში ვარ. ხვალ კი, რომ ავდგები და ავადმყოფი აღარ მერქმევა, მისაყვედურებს. მეტყვის, აი, რომ არა გწამს ღმერთის არსებობა, იმიტომ დაგსაჯაო.

მამიდამ მეორე დღესაც არაფერი მითხრა.

არც მესამე დღეს.

არც მეოთხე დღეს...

ერთკვირიანი შიშიან-სირცხვილიანი ლოდინის შემდეგ მივხვდი, რომ მამიდას არც უფიქრია, საყვედური ეთქვა ჩემთვის.

ასეთი იყო ჩემი ოლღა მამიდა.

ყველაფერი, რაც არსებობს, შეიძლება იყოს ლამაზიც და ულამაზოც.

შეიძლება ღმერთიც კი გწამდეს ულამაზოდ.

სხვათა დასანახად რომ იწერს კაცი პირჯვარს წამდაუწუმ, ეკლესიის იატაკს რომ უხათქუნებს შუბლს და მხოლოდ ერთს ეხვეწება ღმერთს, მე ნუ გამიჭირვებ ნურაფერს და სხვები წყალსა და მეწყერს წაუღიაო, შესაძლოა, ასეთ კაცსაც სწამს ღმერთის არსებობა. მაგრამ ულამაზოა მისი რწმენა.

ოლღა მამიდა ყოვლად ლამაზი პიროვნება იყო.

ღმერთიც ლამაზად სწამდა:

მშვიდად, ურყევად და, რაც მთავარია, უხმაუროდ.

გადავიკითხე ოლღა მამიდას ამბავი და მივხვდი, რომ ქართული ლიტერატურის კაი მცოდნეს შეუძლია მითხრას: ძმია, ნოდარ დუმბაძის გავლენა იგრძნობა შენს ნაწერშიო.

რა ვქნა, ვეძგერო ჩემს ნაწერს და ამოვშანთო ის გავლენა?

არ ვიზამ მაგას!

ჯერ ერთი.

თუ მწერალს წაკითხული აქვს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და თვითონაც ქართულ სოფელზე დაწერს რამეს, როგორ უნდა მოახერხოს და აირიდოს ნოდარ დუმბაძის გავლენა?

მეორეც:

თუ ნაწერში მწერლის წინაპრისა ან წინამორბედის გავლენა იგრძნობა, ამაში არაფერია საგანგაშო.

პირიქით. ძალიანაც კარგი, თუ იგრძნობა.

ერთი მწერლის გავლენას მეორეზე მე ცისარტყელას შევადარებდი.

ეს ცისარტყელა წინამორბედის გულში იწყება, გადაირკალება ლიტერატურის ცაზე და მთავრდება მიმდევარის გულში.

აბა, ნახეთ:

„ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი...“

არაა ძნელი მისახვედრი, თუ სად იწყება ის ცისარტყელა, რომლის ბოლოშიც ეს სტრიქონი ანათებს.

ა, ბატონო:

„იყო არაბეთს როსტევან მეფე ღმრთისაგან სვიანი“.

თუკი სხვისი გავლენა ისეთი გოლიათის შემოქმედებაშიც კია, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, მე ვინა ვგდივარ, რომ ჩემს ნაწერში არ იყოს?

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სიტყვა „სხვისი“ გარკვეულწილად პირობითია.

ვაჟასთვის რუსთაველი „სხვა“ არაა. „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ყველა ქართული პოეტის სულის განუყოფელი ნაწილია.

მაშ რა რქმევია გავლენას სინამდვილეში?

სიყვარული, ძმებო, სიყვარული!

**და ლიტერატურის ცა ამ სიყვარულის მილიარდჯერ მილიარდი ცისარტყელითაა სავსე.**

ჩემს ნაწერში ნოდარ დუმბაძის გავლენა შეიცანით?

ძალიანაც კარგი.

მე იმას ვამბობდი, თუ როგორ მიყვარს ჩემი ოლღა მამიდა და, თურმე, ისიც მითქვამს, როგორ მიყვარან ზურიკელა, ბებია, ილიკო და ილარიონი.

აუჰ, შენი გულისა!

თუმცა შემთხვევითობის ბრალია, ნოდარ დუმბაძის ბებიასაც და მამიდაჩემსაც რომ ერთი სახელი ჰქვიათ, მაგრამ, იცით, როგორ მიხარია?!

ოლღა ბებია... ოლღა მამიდა...

და კიდევ:

ოლღა დეიდა - გმირის დედა, ოლღა დემურია-კოსტავასი, ეროვნული მოძრაობის წევრები მოფერებით რომ დეიდა ოლიკოს ვეძახდით.

დაბოლოოს.

ასევე ჰქვია ჩემს უფროს ქალიშვილსაც.

ოლღა... ოლიკო.

და ესეც ძალიან მიხარია.

თვითონ მიხვდებით, რატომაც...

# ნაცნობი ნიუ-იორკი

გახსოვთ, ალბათ, ეს რეპორტაჟი?

ეს ის რეპორტაჟია, რომლის მომზადებაც ჩვენს კოლეგას, ამერიკაში სტუმრად მყოფ ჩვენი პარტნიორი ჟურნალის „ქართულის" რედაქტორს რომ ვთხოვეთ. რეპორტაჟი ვაშინგტონიდან ვთხოვეთ, იგი კი წავიდა ვაშინგტონში, მაგრამ რეპორტაჟი ნიუ-იორკისა ჩამოგვიტანა.

კენედის აეროპორტიდან მომავალს, გზად ბრაიტონზე შეუვლია, ქუჩაში ტყემლის ბოთლებით მიმავალი ქართველის ფონზე, ერთი თვალით დანახული „ბრაიტონი" მისთვის იმდენად საინტერესო ყოფილა, რომ ვაშინგტონისთვის უჯობნია!




... ულამაზესია მანჰეტენი, ნიუ-იორკის ერთ-ერთი ლამაზი უბანი. განსაკუთრებით კი სწორედ ღამით და სწორედ თვითმფრინავის სიმაღლიდან.

- არის ისეთი რამ, რაც ნიუ-იორკში არ არის?

- არა! გიპასუხებენ ძირძველი ნიუ-იორკელები და ქალაქზე შეყვარებული ახალი მაცხოვრებლები.

- ნიუ-იორკში, - გეტყვიან ისინი, არის ყველაფერი, თან ყველაფერი მხოლოდ აღმატებით ხარისხში: საუკეთესო და ყველაზე ცუდი, უძვირფასესი და ყველაზე იაფიც... ნიუ-იორკი ამაღელვებელი და დამძაბველია, აღტაცების აღმძვრელი და შემზარავი, წინააღმდეგობებით აღსავსე, ანუ „კონტრასტების ქალაქი", როგორც ჩვენი მოძმე რუსები იტყოდნენ. და თუ თქვენი ვიზიტისას, მართლაც აღმოაჩინეთ ის, რაც ნიუ-იორკში არ არის (რაც სავსებით შესაძლებელია), ნუ შეეცდებით ქალაქის ძირძველ და ახალ მაცხოვრებლებთან ამაზე დისკუსიის წამოწყებას, აზრი არა აქვს.

ვთქვათ, თქვენ აღმოაჩინეთ, რომ ნიუ-იორკს ცენტრი არა აქვს, ის საკვანძო წერტილი, რასაც ევროპულ ქალაქებში ხართ მიჩვეული - დაუფიქრებლად მიიღებთ სწრაფ პასუხს: ცენტრი? ნიუ-იორკს ასობით ცენტრი აქვს! ყოველ უბანს აქვს თავისი „ათვლის წერტილი", ყველა ნაციონალობას და საერთო ინტერესების მქონე ადამიანებს თავიანთი ცენტრები - ებრაელებს თუ ჩინელებს, სოჰოსა თუ დასავლეთ ნაწილის ბინადრებს, აქციონერებს, სტუდენტებს, პოლიტიკოსებს, ხელოვანებს, მულტიმილიონერებსა და უსახლკაროებს. თუ რამეს ვერ აღმოაჩენთ, თქვენივე ბრალია - ესე იგი იქ არ ეძებდით და კარგად არ ეძებდით...

პირადად ჩემთვის კი ყველაზე დიდი აღმოჩენა ნიუ-იორკის ერთ-ერთი უბნის ბრუკლინის ნაწილი „ბრაიტონი" იყო. ბრაიტონი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ზედ ოკეანეზე მდებარეობს. ჩვეულებრივი მოკვდავი იქ მატარებლით, სწრაფით ან ადგილობრივით, ჩემი „ათვლის წერტილიდან", მანჰეტენიდან, დაახლოებით 40 წუთში მოხვდება. მატარებლის სადგურიდან გამოსვლისას პირველი, მეორე და, ალბათ, ყველა მომდევნო შთაბეჭდილება გაოცება, გაუგებრობა და დაბნეულობაა - თქვენს თვალწინ რუსეთია!

თანაც ახალი რუსეთი კი არა, ძველი, ყველასათვის საყვარელი, „კლასიკად შერაცხული", ისეთი, კინოფილმებიდან რომ ვიცნობთ.

ადრე, როცა ქალაქში რუსულენოვანების სიმრავლისა და დამკვიდრების შესახებ მსმენია, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ სიმრავლის შედეგს სულ რაღაც ერთ წელიწადში, ნიუ-იორკის კენედის სახელობის აეროპორტში ფეხის დადგმისთანავე შევიგრძნობდი და როგორც იტყვიან, „საკუთარ თავზე" გამოვცდიდი. საქართველოზე, ამერიკაზე, ან ეგებ სულაც საკუთარ მეუღლეებზე გაბოროტებული ამერიკის საიმიგრაციო სამსახურში მყოფი რუსი მესაზღვრეები განსაკუთრებული „პატივით" ამოწმებდნენ ჩემს პასპორტს, ალბათ ჩემში ტერორისტის ამოცნობას თუ ცდილობდნენ...

ბედის ირონიით, ის ადგილი, სადაც აეროპორტიდან გამოსვლისას აღმოვჩნდი, სწორედ „ბრაიტონი" იყო. არ შეცვლილა „ბრაიტონი", არ შეცვლილა რუსული აბრებით გადაჭედილი ქუჩები, არც ის სალაპარაკო ენა შეცვლილა ყოველ ნაბიჯზე რომ გაიგონებთ, არც განწყობა და არც წლების წინ მიღებული პირველი შთაბეჭდილება.

„ბრაიტონზე" ისევ იბადებიან და ინგლისური ენის სწავლის გარეშე არსებობენ (და ასევე კვდებიან) ჩვენი „მოძმე ერების" წარმომადგენლები. თუკი ადრე „ბრაიტონზე" ვიზიტისას ამერიკელი ტაქსის მძღოლის წინააღმდეგ აღძრული საქმის მოსმენისას ამ ამბის მთხრობელისადმი უნდობლობა გამიჩნდა, ახლა, როდესაც საკუთარ ქვეყანაში მყოფ ამერიკელ ქალბატონს საიუველირო მაღაზიაში გამყიდველთან ურთიერთგაგებაში დახმარების აღმოჩენა მომიხდა, თავად დავრწმუნდი აქაური სისტემის ერთობ თავისებურებაში. კეთილ ადამიანებს ნუ გამოლევს ღმერთი და ინგლისური ენის გარეშეც იცხოვრებ ამერიკაში...

არ მინდა სხვა ერების ამბების თხრობით თავი მოგაწყინოთ, მინდა შორეულ ამერიკის მიწაზე მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე გიამბოთ:

ფიროსმანისეული ნახატებითაა მოხატული რესტორნები „ფიროსმანიც" და „თბილისიც", ორივე ნიუ-იორკის ერთ დიდ უბანშია (ერთ დროს ქალაქის სტატუსს რომ ატარებდა). ქართული ნახატების გარეშე ქართულ სამზარეულოს გვთავაზობს აგრეთვე ახალგახსნილი რესტორნები „თამადა" და „საქართველო 21". მართლაც დასაკვეხნი საქმეა, ერთ ქალაქში, თანაც ემიგრაციაში, ოთხი ქართული რესტორანი ფუნქციონირებს!

აი, კონკურენცია ამას ქვია თუ ჰქვია!

ათასი ჭორ-მართალი ერთმანეთში ირევა და მართლა თავსატეხად ევლინება ემიგრანტ ქართველებს, თუ რომელ რესტორანში ივახშმონ.

ქართული მუსიკა ამ რესტორნების პასპორტია, ერთგან დავით ამბროსიძე გვახსენებს თბილისურ ქალაქურებს, მეორეგან სამტრედიულ-ქუთეისურ ჩახვეულებს ნუგზარ ძნელაძე გვაზიარებს, რესტორან „თბილისში" ვანო გოდერძიშვილს შეუძლია ერთნაირად მოგვაწონოს თავი სალამურით, ფანდურითა თუ გიტარით. აი, „თამადაში" კი ქართველ ებრაელს, ბადრი ჯანაშვილს შეგვიძლია მოვუსმინოთ.

ისიც მინდა გითხრათ, რომ ნიუ-იორკის ქართულ რესტორნებში კალიფორნიის ღვინის გარდა, ქართულ ღვინოსაც მიირთმევენ, იმას, ჩვენს „მოძმე" დოზირცევსა და შვილებს რომ შემოაქვთ ამერიკაში. უალკოჰოლო სასმელების მოყვარულებს თუ კუჭით ავადმყოფებს კი ნებისმიერ დროს შემოაშველებენ სომხების მიერ მონოპოლირებულ ფალსიფიცირებულ „ბორჯომს"...

თუ ნიუ-იორკში მოხვდებით, აქეთ მობრძანდით, შორი გზიდან ჩამოსულ სტუმარს ახლად გამომცხვარი ქართული პურით გაგიმასპინძლდებათ ნეპტუნის გამზირზე გახსნილი „ქართული პური".

* * *

როგორც დავიწყე, ისე დავამთავრებ!

- არსებობს ისეთი რამ, რაც ნიუ-იორკში არ არის?

თუკი ქალაქში არის უბანი, რომელშიც შეიძლება დაიბადო და ისე მოკვდე, რომ ინგლისური სიტყვის თქმაც არ დაგჭირდეს, თუკი ტელეფონების წიგნში ნაპოვნი სახელით საავადმყოფოში მიხვალ და იმკურნალებ, თუკი მელიის ქურქში გამოწყობილ ქალბატონთან ქუჩაში ნებისმიერ რუსულ წამალს იშოვნი ყოველგვარი რეცეპტის გარეშე (რა თქმა უნდა, თუ პოლიცია არ არის შორი-ახლოს), თუკი კიკაბიძის, ქართული „იუმორინის" და „ნატვრის ხის" ვიდეოკასეტა იყიდება, თუკი ქუჩაში ქართული შოთის პურისა და ხაჭაპურის სურნელი ტრიალებს, თუკი ხედავთ თქვენს წინ ტყემლის ბოთლებით მიმავალ ქალბატონს, თუკი ქართულ გაზეთს გამოიწერ და გაჭირვების ჟამს გოგის, ჯემალის, მარინასა თუ ჯულის სასტუმროში მიხვალ, თუკი ტოლმისათვის ვაზის ფოთლის ყიდვა არ გაგიჭირდება სომხურ მაღაზიაში, თუკი... არა, იქ, ალბათ, მართლა ყველაფერია და თუ ბრაიტონზე ვერა, ქალაქის სხვა უბნებში აღმოაჩენთ აუცილებლად.

ქართველებიო? - მკითხავთ. ქართველები კი, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, რაღაცას ელიან. ზოგი საბუთს, ზოგი გასესხებულ ვალს, ზოგი იმ 50.000 დოლარს სახლში წასვლის „უფლებას" რომ მისცემთ და... ზოგიც უბრალოდ უკეთეს მომავალს.

- ამბობენ წლები ძალიან მალე გადის ამერიკაშიო...

**ნინო ხაბელაშვილი**

P.S. თუკი თქვენ იმ ამერიკელი ტაქსის მძღოლის ამბავი არ გასვენებთ, გეტყვით: მას „ბრაიტონის" მაცხოვრებლები უჩიოდნენ, რადგანაც მან რუსულად მითითებული მისამართი ვერ გაიგო: „ამდენი ხანია აქ ვცხოვრობთ, თქვენ კი რუსული ჯერაც ვერ ისწავლეთო"...

## ქართული რთველი









ქართველი კაცი სამშობლოს მონატრების წყურვილს ყველგან ავლენს, სამშობლოდან განშორების დღიდან ყოველ პერიოდში და ცხოვრებისეული დეტალების ყოველგვარ გამოვლინებაში იკმაყოფილებს ნებისმიერი ხერხით.

ეს დიდი გრძნობაა ადამიანური ნების გამოვლენისა, - უყვარდეს სამშობლო სადაც იქნება და როგორც იქნება, ისე.

აი, მაგალითად, - ექსკურსიაზე წავედით მდიდარი შემოდგომის შესაგრძნობლად, არათუ ისტორიულ ღირშესანიშნაობათა სანახავად, არამედ თავად რომ ჩავმდგარიყავით ღვინობის ფერხულში.

მწკრივ-მწკრივად ჩარიგებულიყო ზვრები, ბოლო რომ არ უჩანს, ისეთი, ტიციანი რომ უგალობდა, ისე. სურნელი იდგა ბადაგის, ფილტვები კახური რთველის არომატით ივსებოდა.

ასეთი სიტკბოება მხოლოდ ჩვენს მამულშია, რთველობისას. ფუტკრები რომ გამოიფინებიან ოჯახ-ოჯახ, რამეთუ ირგვლივ დაშაქრული წვენის გემო ეგულებათ, დამათრობელი რომაა, ისეთი, ენა-მკბენარი, მაჭრები დადუღებას იწყებენ და ჭურებში შხრიალებენ, გონებას რომ ადუნებს ბახუსის გასაოცარი ყმაწვილკაცური სიგიჟით. და ეს სიგიჟე გადარევა რომაა მთელი მამულით უმამულოდ დარჩენილი კაცისთვის.

მივდივართ, ვუმზერთ და არამარტო ვუმზერთ, ჩვენ თვითონა ვართ მონაწილენი მთელი ამ შემოდგის ჟრიამულისა. ვკრიფავთ ყურძნებს, მაღლა ვწევთ და მზეზე ვჭვრეტთ მის მადლმოსილებას - ყურძენში მზის თვალი შესულა და მზის სხივები მტევნების ლებნებს ასპეტაკებს.

რა გვაკლია?

თითქმის არაფერი! თითქმის-თქო, ვამბობ, თორემ ემიგრანტებს სამშობლო გვაკლია გაბმულ კახურ მრავალჟამიერში რომ გადაიფარება მთელი მამული და სიმღერა ჩაიტევს ჩიტის გულივით პატარა საქართველოს დიდბუნებოვნებით აღსავსეს, სიტყვიერება რომ ამბობს მოსწრებული მჭევრით და პოლიფონია მრავალხმოვან ექოში გადაიტანს - „დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში ცოტა იყოო".

რა ტკბილი არის მამული, განსაკუთრებით აქ, „ცხრა მთასა და ცხრა ზღვას შუა, მზე რომ ჩავა და მთვარე ამოვა".

ვნახეთ ღვინის ქარხანა, გავეცანით ღვინის დაყენების ამერიკულ ტექნოლოგიას, ჩვენ ჩვენი ვუთხარით, მათ თავიანთი გვითხრეს. ერთმანეთს დაგვაკავშირა და დაგვამეგობრა ღვინის სიყვარულმა, არათუ ალკოჰოლურმა, არამედ კულტურამ, ცივილიზაციამ.

ბოლოს ლხინი გაიმართა, სიმღერა-მოძახილებით, ქართული მწვად-კერძებით, თათარ-ამოვლებული ჩურჩხელებით, მამა-პაპური სადღეგრძელოებით.

ამ ადამიანურ ურთიერთობებში ჩვენს ტოლერანტულ ბუნებას ვამჟღავნებთ და ყოველგვარი დიპლომატიის, გადაჭარბებული ეტიკეტებისა და პროტოკოლების გარეშე ადამიანებს შორის ვამყარებთ ადამიანურ ურთიერთობებს, - „როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ, და სიზმრები როცა თვლემენ სასთუმალთან".

და თქვენ გგონიათ, რომ ყველაფერი ეს ჩვენს შორეულ საქართველოში მოხდა?! კი, მოხდა, უამისოდ ხომ აღარ იარსებებს ჩვენი სამშობლო, მაგრამ რაც მე ამ პატარა წერილში აღვწერე და მოგითხრეთ, აქ მოხდა, ამერიკაში უსაქართველოდ საქართველოს ნატვრით, პენსილვანიის შტატის ქალაქ ლანკასტერაში, გელაშვილებისა და მათი კომპანიის „გელანის" თავკაცობით.

ყოველ წელიწადს ასე იქნება, დავირაზმებით ემიგრანტები და საქართველოს სიყვარულს ლანკასტერის ზვრებში ჩავატევთ. მერე კი ახალი ენერგიით გავაგრძელებთ უცხოეთში ნოსტალგიური ტალღის ახალ აღმოფრქვევამდე.

**მანუჩარ კაჭახიძე**









## მე ვარ!

ჩვენ შორიახლო მაგიდასთან მსხდომნი აიშალნენ. მათ შორის ოთარ მამფორია შევნიშნეთ. მოგვიახლოვდა, თავდახრით მოგვესალმა.

- აუ, რა ხალხი შეკრებილხართ! ტკბილ პურის ჭამას გისურვებთ!

ჩამოჯდომა ვთხოვეთ, იუარა. მომცრო ჭიქაში ღვინო ჩამოისხა.

- თქვენ ახლა იწყებთ, მე კი მოვამთავრე! არ გამოგადგებით. ხომ იცით, მეორე ტაიმს ველარ ვთამაშობ!

ცოტა მოსვა სასმელი და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

- არ გეწყინოთ!

მერე მწვანე, წყლიანი თვალები მომანათა.

- მანქანით იქნები. შენ გახარებას, იქნებ მიმიყვანო სახლამდე.

- მაშინ ოთარი პეკინის ქუჩაზე ცხოვრობდა, ერთოთახიან ბინაში. სვენებ-სვენებით ავუყევით კიბეს, კარი აუჩქარებლად გააღო. შინ არავინ იყო.

- ახლა იმერულად რომ დავიწყო პატიჟი, არ გამოვა! არცა მაქვს სასმელი არანაირი! თანაც გეჩქარება, მე კი უკვე კარგად ვარ!

- რას ბრძანებ, ჩემო ოთარ! შენ დაისვენე, მე წავალ!

საწოლზე ჩამოჯდა.

გამოვემშვიდობე.

გავედი. კარი გავიხურე.

- არ დაკეტო! ღია დატოვე! - რაღაც უცნაური ხმით დამიძახა.

- როგორ, ღია? - გამიკვირდა.

- ღია დატოვე, ღია! - იმავე ხმით გამიმეორა. ოთახში შემოვბრუნდი. სკამი მივიჩოჩე.

- ვიცი, ხაში გიყვარს, ოთარ! - შევცვალე საუბრის თემა, - ხვალ მოგართმევ.

- დიდად გმადლობთ, როგორ შეგაწუხო!

- რას ბრძანებთ. სიამოვნებით მოგემსახურები!

- ხაში და იმას რაც უხდება, ხომ? - შემეკითხა ღიმილით.

- რა თქმა უნდა! ხაში ქუთაისურია, ქილებში, საუკეთესო ნაკეთებია.

- ვიცი, ვიცი, გუშინწინ გეახელი...

წამოვდექი იმ იმედით, რომ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლიდა.

- კარი არ მომიკეტო! - ისევ მკაცრად გამაფრთხილა.

ზღურბლზე გავჩერდი.

- კი მაგრამ! მოღიავებული კარით როგორ დაგტოვო?

- თუ ძმა ხარ, რაც გთხოვე, ის შემისრულე! - გამიბრაზდა ოთარი.

მივხვდი, არ დათმობდა!

ცოტა ხანს ჩავფიქრდი. მერე უცბად ვკითხე:

- ოთარ ბატონო, წარმოიდგინე, რომ შენ ხარ საქართველო.

- რათ უნდა მაგას წარმოდგენა! მე ვარ საქართველო!

- ძალიან კარგი! მე კი რუსეთი ვარ!

ოთარმა გაკვირვებით შემომხედა.

- მერე რა გინდა?

- ჰოდა, მე შემოვდივარ საქართველოში!

- შენი ფეხი არ დავინახო აქ! - დამიყვირა.

სწრაფად გავედი და კარი ხმაურით მოვიხურე.

გავიგონე მისი ნაბიჯების ხმა, მოვიდა და კარი გასაღებით გადაკეტა.

ღიმილით დავეშვი კიბეზე.

დავბრუნდი მეგობრებთან და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ვუამბე.

**გურამ გომართელი**

ალექსანდრე ყაზბეგი რუსეთიდან 1870 წლის მიწურულს დაბრუნდა. ამ დროს იგი 32 წლისა იყო. ე.ი. იმ ასაკის, როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა სიყვარულის პოვნა და ცხოვრების თავიდან დაწყება, მაგრამ ბედისწერა ისევ გაალმასებული მიჰყვებოდა მის კვალს. თუ ტასო გიგაურის, ყაზბეგის მწყემსობისდროინდელი მეგობრის სვიმონა გიგაურის რძლის მოგონებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ხევში ათასი სასიყვარულო თავგადასავალი ყოფილა გავრცელებული ყაზბეგის შესახებ, მაგრამ მათ შორის ძიძიას სიყვარული გამორჩეული ყოფილა.



## ნაკლებად ცნობილი ამბავი

# ყაზბეგს ძიძია უყვარდა!

ტასო გიგაური: „ელისაბედ თარხნიშვილის დაკრძალვაზედ (1888წ.) ყური მოვკარ, რომ სანდროს თავისი ძიძის, ნინოს ქალიშვილის მული ყვარებიაო, გარბანელი გლეხის ქალი ძიძია, მაგრამ ნათესაობა აღდგომიან წინაო და ქორწინებაც ჩაშლილა. სანდრო როცა რუსეთიდან დაბრუნდა, ნინოს ქალი უკვე გათხოვილი ყოფილა. სანდრო თურმე, ხშირად დაიარებოდა გარბანში და ნახულობდა თავის ძიძიშვილს, რომლის ოჯახშიც ხვდებოდა ახალგაზრდა ყმაწვილ ქალს - ძიძიას. ძიძია მას მოკრძალებით ექცეოდა, როგორც ბატონისშვილს, მაგრამ სანდროს ეს მოკრძალება კიდევ უფრო ახელებდა და მისდამი ინტერესს უღვივებდა."

სანდროს და ძიძიას სიყვარული შეუმჩნეველი არ დარჩენილა ძიძიას ძმებისათვის და დისთვის აუკრძალიათ სანდროსთან შეხვედრა. მათი აზრით, სანდრო - ეს ნასწავლი ბატონიშვილი გლეხის ქალს ცოლად არ იკადრებდა და შერცხვენილს დატოვებდა.

ამ აუხდენელი სიყვარულის გამო ძიძია ტუბერკულოზით დაავადებულა. მედიდური ნათესავების გარდა, სანდროს ამ ნაბიჯს არც ძიძიშვილი იწონებდა და ხშირად ეუბნებოდა: „სანდრო, აბა, რა შენი საქმეა გლეხის ქალი, განა არ იცი, რომ შენი ნათესაობა ამის წინააღმდეგია." „ვიცი, ჩემო ყველავ, კარგად ვიცი, მაგრამ გულს ხომ ვერ ვუკარნახებ: წმინდა არსება ნუ გიყვარსო. მომწყინდა ის არისტოკრატებიც, მათი ბალ-მასკარადები, მათი გარყვნილი ცხოვრება, სწორედ რომ ვიცი ყველაფერი ეს, ამიტომ მინდა წმინდა ქალი და წმინდა ოჯახიო!"

საბოლოოდ, სანდრომ ვერ მოახერხა ძიძიას შერთვა, რის გამოც ძიძია დასნეულდა და მალე გარდაიცვალა. სანდროს საყვარელი ქალი თავისი ხარჯით დაუსაფლავებია და საფლავზე ფიცი დაუდვია, „შენგან მეტს მე ქალს არ შევირთავო" და აასრულა კიდეც.

კრიტიკაში არაერთგან იქნა აღნიშნული, რომ „განკიცხული", რომელიც 1884 წელს დაიბეჭდა, ავტობიოგრაფიული ელემენტების შემცველი ნაწარმოებია. მასში გადმოცემული ტრაგიკული სიყვარულის ისტორია ავტორს უნდა გადახდენოდა. ამას ადასტურებს ელენე ანდრონიკაშვილის მოგონებაც: „თელავში სანდრო ხშირად ჩამოდიოდა, სადაც ცხოვრობდა ვიქტორ გამყრელიძესთან. ამ დროისთვის მისი რომანები უკვე წაკითხული მქონდა, ერთხელ გავბედე და შევეკითხე „განკიცხულის" შესახებ: ნუთუ მართალია, რაც დაწერილია „განკიცხულში"?

სანდრო ჩაფიქრდა, თავი ჩაღუნა და მიპასუხა: „მართალია, ცხოვრებიდან მაქვს აღებულიო!"

ამ მოსაზრებას ამყარებს მეორე მოგონებაც: ბიბო ყაზბეგის (ალექსანდრეს ბიძაშვილი) ქალი, ნინო თარხნიშვილისა წერს: „ალექსანდრე ყაზბეგს ჰყვარებია თავისი ნათესავი ქალი, ამის გამო მას მთელი ნათესაობა აუმხედრდა და ქალის შერთვის ნება არ მისცეს. ეს ქალი შემდეგ შეირთო პორფირე ბარათაშვილმა.

ეს თავისი რომანი მან წიგნად გამოსცა „განკიცხულის" სათაურით. ვკითხულობთ „განკიცხულს" და, ბუნებრივია, ჩვენს წინაშე ისმება კითხვა, სანდრო-ძიძია ნაწარმოებში მარი-ლევანმა ხომ არ ჩაანაცვლა?

ალექსანდრე ყაზბეგი არც ისტორიკოსი იყო და არც ქრონიკიორი, ამიტომ ცვლილებების უფლება მას ნამდვილად ჰქონდა.

ორივეგან უკიდეგანო სიყვარული და მიუღწეველი ბედნიერება, ორივეგან ამხედრებული ნათესაობა და ტრაგიკული დასასრული.

საბოლოოდ, მარი იღუპება... იღუპება ძიძიაც. ლევანი გადარჩება, მაგრამ, თუ ტექსტს მოვიშველიებთ, დავრწმუნდებით, რომ მისი სიცოცხლე სიკვდილზე ნაკლები ღირებულებისაა: „დავრჩი მარტოდ და უპატრონოდ, დავრჩი იმისთვის, რომ როგორც ცოცხალ-მკვდარს გველს მეხოხა, როგორც მიწისგან დაწყევლილს, რომელიც ჩასამარხად პირსაც არ მიღებდა. დავრჩი მაგრამ რისთვის?! სიკვდილი არ მერჩივნა?"

ამ ნაწარმოების დაწერიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც 1893 წელს გარდაიცვალა.

# ლუვრში ფიროსმანის გამოფენისას, ნახატ «აკტრისა მარგარიტასთან» ყოველდღე მიდიოდა ხანშიშესული ქალი... ეს მოხუცი მარგარიტა დე სევრი გახლდათ!

ამბობენ, ერთ დილას სასტუმროს წინ, სადაც მსახიობი მარგარიტა დე სევრი იმყოფებოდა, ურმების გრძელი ქარავანი გამოჩნდა. ისინი უთვალავი ახლად მოჭრილი წითელი ვარდით იყო დატვირთული. უცნაურ მსვლელობას გვერდით ფიროსმანი მიჰყვებოდა - ნიკო ფიროსმანაშვილი, რომელსაც ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ თავისი პატარა დუქანი ჰქონდა. ახლა კი მთელი თავისი ქონების სანაცვლოდ „ყვავილების მთელი ზღვა" ეყიდა...



1909 წლის მარტში ორთაჭალაში აფიშები გამოჩნდა: „ყურადღება, სიახლე! თეატრი „ბელ ვიუ". მარგარიტა დე სევრის მხოლოდ 7 გასტროლი თბილისში! შანსონების უბადლო შემსრულებელი, რომელიც ამავე დროს კეკ-უოკსაც შეუდარებლად ცეკვავს!" როგორც ამბობენ, ნიკო ფიროსმანიშვილმა მარგარიტა სცენაზე იხილა თუ არა, თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა წამოიძახა: „საოცრებაა! ქალი კი არა, ნამდვილი მარგალიტია!" ამ ამბის გაგრძელება კი რამდენიმე ვარიანტადაა ცნობილი: მარგარიტამ სასტუმროს ოთახის ფანჯრიდან დაინახა ყვავილების უგრძესი ხალიჩა და ფიროსმანს გაოგნებულმა მიმართა: „შენ დუქანი იმიტომ გაყიდე, რომ ეს მშვენიერი ვარდები ჩემთვის მოგერთმია? ამას ჩემს ცხოვრებაში არ დავივიწყებ, ჩემო რაინდო!" ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ვიღაც მდიდარ ჩინოვნიკთან ერთად თბილისიდან გაემგზავრა. მეორე ვარიანტი ამ ლეგენდისა ასეთია: როდესაც მსახიობ ქალს „მილიონი წითელი ვარდი" გაუგზავნა, ნიკალა უკანასკნელი გროშებით დუქანში დასალევად წავიდა. გულაჩუყებულმა მარგარიტამ მას სხვისი ხელით ბარათი გაუგზავნა, რომელშიც მისვლას სთოვდა. ფიროსმანი იპოვეს, თუმცა უგონოდ მთვრალს ვერ გააგებინეს, მისგან რა უნ-დოდათ. ხოლო როცა მან სასტუმროში მისვლა შესძლო, გვიანღა იყო. მსახიობი იქ აღარ დაუხვდა. გასტროლები დასრულდა და მარგარიტა თბილისიდან გაემგზავრა. იმასაც ამბობენ, რომ 1969 წელს, როცა ლუვრში ფიროსმანის 85 „პრიმიტიული" შედევრი გამოფინეს, ნახატთან „აკტრისა მარგარიტა" ყოველდღე მიდიოდა ხანში შესული ქალი და კარგა ხანს ჩერდებოდა. ბოლოს ვიღაც დამთვარიელებელმა მათ შორის მსგავსება შეამჩნია. დიახ, ეს დაბერებული მარგარიტა დე სევრი გახლდათ!

იმასაც ამბობენ, რომ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ლეგენდაა, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ფიროსმანის შემოქმედების მკვლევართა აზრით, ფრანგი მსახიობი ქალის მიმართ მხატვრის გაუზიარებელი სიყვარულის ამბავი ლამაზი ზღაპარია და მეტი არაფერი. სინამდვილეში არც ქონება გაუყიდია ვინმეს, არც ვარდების ზღვა ყოფილა და უფრო მეტიც, ფიროსმანი მარგარიტა დე სევრს პირადად არა თუ იცნობდა, ნანახიც არ ჰყავდა! სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პორტრეტი ნატურიდან კი არა, თეატრალური აფიშიდანაა დახატული. ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებაში სულ სხვა დრამა დატრიალდა. თუმცა, ერთი რამ ნამდვილად მართალია: ბედნიერი სიყვარული გენიალურ მხატვარს თუ უბრალო ნიკალას არასოდეს ღირსებია.

დაქორწინება ფიროსმანმა ერთხელ მოინდომა. ეს იყო შეძლებული ოჯახის ასული, რომელმაც დაობლებული პატარა ნიკალა, პრაქტიკულად, იშვილა. ელისაბედი და ნიკო, შეიძლება ითქვას, ერთად გაიზარდნენ. შემდეგ ქალი გათხოვდა და ფიროსმანს ის მრავალი წლის განმავლობაში არ უნახავს. დაახლოებით ორმოცი წლის ასაკში ელისაბედი დაქვრივდა და მშობლიურ სახლში დაბრუნდა. მათი შეხვედრაც აქ მოხდა. ელისაბედი შეცვლილი იყო, ძველი სილამაზე წლებს თუ დარდს წაეღო, მაგრამ ფიროსმანისათვის იგი მაინც შეუდარებელი გახლდათ! ნიკალამ ელისაბედს ცოლობა სთხოვა და... ამ წინადადებაზე ძალიან ზრდილობიანი უარი მიიღო. იმ წუთში ეს ჩაკეტილი ბუნების, უცნაური და თავისებური ნიკალასათვის ამქვეყნად ყველაფრის დასასრულს ნიშნავდა. „მე მისი და ამ ოჯახის ღირსი ვერასოდეს გავხდები", — გადაწყვიტა ფიროსმანმა და პირად ბედნიერებაზე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი.

ძმის დაქორწინება ერთხელ ფიროსმანის დამ - ფეფუცამაც სცადა. მირზაანში ჩასულ ნიკალას დამ მეზობელ სოფელში საცოლე მოუნახა და ფიროსმანი ქალის სანახავად, პრაქტიკულად, უკვე საკუთარ ქორწილში მივიდა. მეორე დღეს შეურაცხყოფილი და გაგიჟებული მხატვარი მირზაანში მარტო დაბრუნდა და ფეფუცას უთხრა: „ეგ რა ურჯულო ხალხია, საერთოდ ვინ არიან! წმინდა გიორგისათვის ბატკანი მინდოდა შემეწირა, მაგათ კი არ დამანებეს... წამართვეს, შეჭამეს და დამცინეს კიდეც. დღესაც ჩემზე იცინოდნენ: შენ გიჟი ხარ, შეშლილი, ცოლი და ოჯახი რად გინდაო?! და შეეჭვდა - არავინ იცის, ეს ამბავი რამდენად მართალი იყო, მაგრამ ძმის ხასიათი იცოდა და რაღას გააწყობდა! ნიკალას გადარწმუნება და მისი „გონზე მოყვანა" ხომ შეუძლებელი იყო!

მართალი იყო ფიროსმანის დედობილი, ქალბატონი ეფროსინე (ელისაბედის დედა), როცა ამბობდა: „ვერ გამიგია, რა არის, ეს ბიჭი არავისა ჰგავს. სული ნატიფი აქვს და ჭკუა-გონება მახვილი, მაგრამ ძალზედ უცნაურია, სწავლა და მუშაობა არ უნდა, მაგრამ თითქოს არც ზარმაცია და უქნარა. არ უნდა ცხოვრებაში წინ წაიწიოს. თითქოს ამ ქვეყნისა არ არისო!"

ის კი... იქნებ მართლა არ იყო „ამ ქვეყნის"... იქნებ ამიტომაც გაქრა ასე უკვალოდ და დღეს მისი საფლავიც საძებარია. მის ცხოვრებაზე კი ის ლამაზი ზღაპრები, ლეგენდები და მისივე ნახატები მოგვითხრობენ, რომლებშიც მართლაც რომ სულ სხვა სულია...

და საერთოდ, რა იყო ფიროსმანის ცხოვრება, თუ არა მთლიანად სიყვარული, ის სიყვარული, რომლითაც ცოცხლობდა და რისთვისაც ცოცხლობდა?!

რა არის თითოეული ნახატი, თუ არა მემკვიდრე, შვილი და ძირი ამ დიდი სიყვარულისა, რომელსაც „უცნაური" ნიკალა მთელი ცხოვრება გულით ატარებდა?

მის შემოქმედებას კი ისეთივე „უბრალო" შეფასება მიეცა, როგორიც თვითონ მხატვარი იყო: ეს იყო და არის გენიალური სიმარტივე.




ამბობენ, XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც თბილისის საოპერო თეატრში საპრემიერო თუ რიგით სპექტაკლზე დასასწრებად მისული ეს მშვენიერი ქალბატონი ჩნდებოდა, ირგვლივ განლაგებულ ლოჟებში, პარტერში თუ ქანდარაზე მსხდომი ყველა ასაკის, რანგის და გემოვნების მაყურებელი სპექტაკლს ივიწყებდა და მისი სილამაზით ტკბობას ამჯობინებდა.

ამბობენ, მასზე უიმედოდ ბევრი ყოფილა შეყვარებული, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო მისი გულის მოპოვება... ეს იყო ინჟინერი ვლადიმერ ჯიქია.

ამბობენ, ბევრმა სცადა მისი მშვენიერების ლექსებით შემკობა, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო იმ უკვდავი სტრიქონების შეთხზვა, თითქმის ყველა შეყვარებულმა ქართველმა რომ იცის...

ეს ქალბატონი თინათინ ჯიქიაა, ხოლო ამ არაჩვეულებრივი სტრიქონების ავტორი კონსტანტინე გამსახურდია...

ზღვისფერი გაქვს თვალები და
თავად გავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და
მისთხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე
თესვასა და ხვნას,
გადავლახავ ადიდებულ
ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენ სამყოფელს,
შენ სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ
მაგ ნაფერებ ქმარს.
ზღვისფერი გაქვს თვალები
და თავად ჰგავხარ ზღვას...

არის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი ამ მშვენიერი ბანოვანის უკვდავყოფის ტრიადისა - გამოჩენილი ქართველი ფერმწერის ქეთევან მაღალაშვილის მიერ შექმნილი ფერწერული პორტრეტი, რომელიც ქალბატონი თინათინის შვილების მარინა და ნანა ჯიქიების ოჯახშია დაცული.

თანამედროვეთაგან ცოტა ვინმე დაუტოვებია გულგრილი თინათინ ჯიქიას ბუნებრივი, სინაზით სავსე ხატებას. იგი ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულებს ახალგაზრდობაშიდაც და მაშინაც, როდესაც წლებმა, განვლილმა რთულმა ცხოვრებამ თავისი კვალი დატოვა მის ღვთაებრივი მომხიბვლელობით აღსავსე გარეგნობაზე...

მრავალი წლის წინ, ქალბატონი თინას ქალიშვილმა მარინა ჯიქიამ ტექნიკური უნივერსიტეტის საქტო დარბაზში მოაწყო კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. მასზე მოხვედრა, ლადო გუდიაშვილის ნახატით დამშვენებული მოსაწვევის მოპოვება ბევრს საოცნებო გაუხდა. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა მხცოვან მწერალს. როდესაც სცენიდან გაისმა ცნობილი სტრიქონები „ზღვისფერი გაქვს თვალები და"... მთელი დარბაზი შეტრიალდა ბატონ კონსტანტინესკენ.

პირველად და უკანასკნელად ქალბატონი თინათინი 2001 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვნახე - ამ დროისთვის იგი ოთხმოცს გადაცილებული იყო, მაგრამ ასეთი ღვთაებრივი სილამაზე იშვიათად თუ შემხვედრია ... დახვეწილი, თითქოს ნაქანდაკარი სახის ნაკვთები, სპილოსძვლისფერი, ან უფრო ზუსტად სადაფისფერი, თითქოს გამჭვირვალე სახის კანი, არაჩვეულებრივი ცოცხალი თვალები, ცოტა დაძაბუნებული, მაგრამ საოცრად ნაზი, ნატიფი ხელები. სტუმრებთან გამოსასვლელად იგი ქალიშვილებმა მორთეს-მოკაზმეს.

ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა. დროის მსახვრალმა ხელმა ვერაფერი დააკლო მის მშვენიერებას - იჯდა სავარძელში ძველებურად ელეგანტური, დედოფლური ღირსებით აღსავსე და ამავე დროს სადა ქალბატონი და მოწყალედ რეაგირებდა მოსმენილ კომპლიმენტებზე.

ბევრს ახსოვს ღრმად მოხუცი, მაგრამ კვლავ მშვენიერი მერი შარვაშიძე რევაზ თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმიდან, ამბობენ ასეთივე მშვენიერები იყვნენ ახალგაზრდობაშიც და ხანდაზმულობაშიც მელიტა ჩოლოყაშვილი, სალომე ანდრონიკაშვილი, თამარ ციციშვილი - მეფური გარეგნობის ქალბატონები, პოეტთა და მხატვართა მუზები, რომელთაც XX საუკუნის კატაკლიზმებმა არგუნეს ომი, გაჭირვება, ემიგრაცია, აქ დარჩენილთა ნაწილს კი რეპრესიები და სტალინური ბანაკების სიმწარე და ყველაფრის მიუხედავად, მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ სილამაზე, რომელიც ერის საგანძურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

თინათინ ჯიქიამაც, როგორც შემდგომში ხალხის მტრის მეუღლემ, გაიარა გზანი წამებისანი და სასწაულებრივად გადარჩა. განვლილი მძიმე ცხოვრების მიუხედავად, ის მაინც მშვენიერი იყო.

ქეთევან მაღალაშვილმა იგი ომის შემდგომ 1946 წელს დახატა. არცთუ დიდი ზომის ფერწერული პორტრეტი სავსეა პოეტური განწყობითა და სევდით. ფონი სადაა. მოდელი სამ მეოთხედშია გამოსახული, კაბის ყელზე ლურჯი ფერით შესანიშნავადაა გადმოცემული მისი ინდივიდუალობა. აშკარად ჩანს, რომ პორტრეტის შექმნისას მხატვარი ქალიც ერთგვარად ითვალისწინებდა პოეტის სტრიქონებს და სამოსისა თუ მორთულობის დეტალებში (ცისფერი კაბა, ლურჯი მძივების ასხმა) არჩევდა იმგვარ ტონებს, რომლებიც კიდევ უფრო გაუსვამდნენ ხაზს თვალების ცისფერ ფერს.

ქალბატონი თინათინი აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ დარჩა მოგონება მშვენიერ ქალბატონზე, ქეთევან მაღალაშვილისეული პორტრეტი, კონსტანტინე გამსახურდიას სტრიქონები და მისივე ავტოგრაფი - ჯიქიების ოჯახისთვის ნაჩუქარ წიგნზე „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას"...



# მასზე წერდნენ...

ქვიშა. ქვები. ლოდები. აუწერლად მწველი მზე. ალაგ-ალაგ, ტენიან ხეობებში თუ ხარობენ „გაქუცული ფსილოფიტები".

საკვები მწირი...

მთავარი პრობლემა - სუნთქვა.

ესაა უპრეცედენტო ხანა დედამიწაზე. მიწას, წყალს, ჰაერს განაგებენ გიგანტური ქვეწარმავლები. ისინი მბრძანებლობენ ყველგან - ბრახტოზავრები, ბრონტოზავრები, დიპლოდოკები, ტირანოზავრები, ტარბოზავრები. ორფეხები თუ ოთხფეხები. დიდები, უდიდესები, ზოგიერთი წყლიდანაც ვერ ამოდის, რადგან საკუთარი სიმძიმე ჭყლეტს.

აქ, სადაც ჩვენ დავაბიჯებთ, 120 მილიონი წლის წინათ ისინი დააბოტებდნენ და აზანზარებდნენ მიწას.

...ამ, თითქოსდა დაუჯერებელი ამბის რეალობაში დღეს ჩვენთან აღარავის ეპარება ეჭვი. ქუთაისის მახლობლად დინოზავრის გაქვავებული ნატერფალები უკვე შვიდი ათეული წელიწადია, აღმოჩენილია და მის აღმომჩენთან ერთად, განუყოფელი ნაწილია ჩვენი ცხოვრების.

პეტრე ჭაბუკიანი... უახლოესი წარსული: წარსული, რომლის მომსწრე, მნახველი თაობა დღესაც ცოცხალია.

პეტრე ჭაბუკიანი... თავისი უზარმაზარი, გამოუცნობი სამყაროთი, მოულოდნელობებით სავსე ცხოვრებით. ცხოვრებით, რომელიც ბუნებასთან ადამიანის, თუ პირიქით - ადამიანის ბუნებასთან შერწყმის უტყუარი დასტურია.

პეტრე ჭაბუკიანი... უჩვეულო მოხუცი, სიცოცხლეშივე აღიარებული... კაცი, რომელიც თავს ბედნიერს უწოდებდა (ისევ თავის საქმისა და მოღვაწეობის გამო, თორემ მისი ყოფა იოლი არ იყო).

დაწყებითი განათლება სამრევლო სასწავლებელში მიიღო. ბათუმში ყოფნისას ბრწყინვალედ შეისწავლა რუსული და თურქული ენები. საშუალო სკოლა ფსკოვში დაასრულა და ტარტუს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიულ ფაკულტეტზე შევიდა. წარჩინებით დაამთავრა. გარდაიცვალა 1982 წელს, 93 წლის.

ერთხელაც, გიმნაზიაში საზოგადოებათმცოდნეობას ასწავლიდა. მაგრამ... იგი არ იყო მოწოდებით მასწავლებელი, „იყო ბუნებით მოხეტიალე, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით; იყო ბუნებით მკვლევარი". მოუსვენარი და მღელვარე, ეძებდა რაღაც სხვას.

მას შემდეგ, რაც თეთრამიწაზე (ქუთაისის მახლობლად) უძველესი ქვის სამუშაო იარაღები იპოვა, მოსვენება დაკარგა. ეს უკვე დასტური იყო იმისა, რომ ქვის ხანის ადამიანები ამ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ, ეს ნათელს ჰფენდა პირველყოფილი კულტურის ბუნდოვან ხანას, რომელიც არც კი ისწავლებოდა მაშინდელ სასწავლებლებში მასალებისა და ფაქტების უქონლობის გამო. ქვის ხანის უამრავ იარაღთან ერთად აღმოაჩინა ქვის თოხები. ესე იგი, ნეოლითურ ხანაში აქ მიწას ამუშავებდნენ და მოსავალი მოჰყავდათ - ჩვენს ერამდე 8 ათასი წლის წინათ!

აქ, ამ ფერდობზე ველური ფუტკრები ბინადრობდნენ თურმე. თაფლით ახლო-მახლო მცხოვრებნი სარგებლობდნენ... ამ ადგილს სათაფლე, სათაფლია ერქვა.

თითქოს რაღაც უხილავი ძალა ეზიდებოდა „სკის ქალაქისაკენ", ბოლო დროს ერთი ღელეც აფიქრებდა, მთის ძირში რომ იკარგებოდა, სადღაც ჩაინთქმებოდა, მისი შორეული ხმა კი ზემოთ მაინც საკვირველად ამოდიოდა.

გამოჩნდა! ქვედაცარცულ ნაპრალოვან კირქვებში წარმოქმნილი კარსტული მღვიმე. უცხო, ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი სილამაზე; გრანდიოზული ვრცელი დარბაზები, უნატიფესი, მბრწყინავი, სვეტებად თუ ფარდებად დაშვებული სტალაქტიტები და სტალაგმიტები. ასეთი იყო და არის სათაფლიის გამოქვაბული.

პეტრე კი...

განუწყვეტლივ იბრძოდა (ესეც სჭირდება, ურწმუნონი და მოშურნენი მაშინაც იყვნენ), იცავდა სათაფლიას, ზრუნავდა მისთვის. თავისი ხელით გააშენა უზარმაზარი კოლხური ტყეპარკი, მცენარეთა უნიკალური ჯიშებით. მისმა არსებობამ კი ხელი შეუწყო მრავალფეროვან ცხოველთა სამყაროს წარმოშობას.

ჭაბუკიანი... ბუნების მესაიდუმლე, ყოველი ხის, ყოველი ბალახის ასაკისა და რაობის მცოდნე. სათაფლია სტუმრებს ვერ აუდიოდა, მათი მუდმივი მასპინძელი ბატონი პეტრე იყო.

ვეებერთელა ცხოველი ზღვიდან ნაპირზე გამოვიდა და შლამზე თავისი ნაკვალევი დატოვა- უამრავი კატასტროფების, ერების, პერიოდების, ასეულობით მილიონი წლის შემდეგ რომ ეპოვა შემთხვევით, ტოტის ასაღებად დახრილ პეტრე ჭაბუკიანს...

ეს იყო 1933 წელი.

დაიწყო გამოკვლევა.

მანამდე ასეთი კვალი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილში იქნა აღმოჩენილი 1843 წელს. აქვე ნახულობდნენ უძველეს ცხოველთა ძვლებს. საქართველოში ქვედაცარცული პერიოდის 300-მდე ნატერფალის აღმოჩენამ დაარღვია გაბატონებული აზრი, თითქის კავკასია ახალი ხმელეთია. ამიტომ ამ ამბავმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

დინოზავრის ნაკვალევი!..

„კვალი მოდის ზემოდან ქვემოთ, მეორე კვალი მიდის მარცხნიდან მარჯვნივ. ამ გადაკვეთის წერტილზე ისინი ერთმანეთს დაჯახებიან, შემთხვევით, შეიძლება საგანგებოთაც. მაგრამ ფაქტი ფაქტია და ერთი წაქცეულა, კუდი დაურტყამს შლამში, რომელიც შემდეგ, რასაკვირველია, წინამდებარე მარგვლად გაქვავდა" - ისე ჰყვებოდა, თითქოს ენახა;

„ქვეყანაზე არ არსებობს მეორე ადგილი, სადაც ქალაქის გვერდით ერთ პატარა მონაკვეთზე კომპლექსურად იყოს შერწყმული ამდენი საოცრება" (პეტრე ჭაბუკიანი). 1935 წელს ეს ადგილი სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა.

კიდევ: წყალტუბოს სოფლებში, მელაურსა და ხომულში, ქვის ხანის ადამიანის უძველესი სადგომები აღმოაჩინა; კოლხეთის დაბლობზე 55 ყორღანი. ყველგან იყო - ბაგრატზე, გელათში, გეგუთში, გახლდათ ამ განძების „პირველაღმწერელი, მკვლევარი, დამცველი", მთელი საქართველო მოევლო.

დაინტერესებული იყო ხალხური ლექსიკითა და ზეპირსიტყვიერებით.

იმერეთში სხვადასხვა დროს შეუკრებია ქართული ლეგენდები, ნაკვესები, ანდაზები და დიალექტიზმები.

მასზე წერდნენ, იღებდნენ ფილმებს, ძერწავდნენ...



ჩემი თბილისელები

გიზო ნიშნიანიძე

# პაემანი ვერაზე

## (ტროტუარული მემუარები)

**დიდმა ლომმა,**
**ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოიმ ბრძანა:**
**თუ შეგიძლია - ნუ დაწერო.**
**არა!**
**არ შემიძლია, უნდა ვწერო,**
**კმარა!**
**ვერა, ვერ შევძლებ გაჩუმებას, მჯერა...**
**ვერა, არ მაძლევს მოსვენებას, ვერა...**
**სიყრმის მზისაკენ თვალი მომჭრა მზერამ,**
**ბავშვობისაკენ გამიტაცა ძერამ.**
**ღვიძლი შვილივით შემიხორცა ვერამ და...**
**შეშლილივით ამიტაცა წერამ!**

ამ სიტყვებით დაიწყო ჩემი „პაემანი ვერაზე“ 1981 წლის 28 დეკემბერს ვერაზე, ფილარმონიის დიდ დარბაზში და ამ სიტყვებით დამთავრდა:

**მე ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერ წარსულთან,**
**რაც არ გამახსენდა ამ წამს...**
**ზოგჯერ სათქმელი - უთქმელი ჯობიაო,**
**სათქმელი - უთქმელი არ მწამს.**
**ყველას გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში**
**ბჟუტავს და სევდის რძეს წველავს,**
**ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანათლეებში,**
**სულ სხვა ელვარებით ელავს.**
**ვინც დაგვყვა აკვანში,**
**ვინც აგვყვა აკვნიდან**
**და ვინაც ჩვენს სულში ღელავს,**
**ვინც...**
**კაცობა მოგვცა და ზედ ტვირთი აგვკიდა -**
**ყველას გაუმარჯოს, ყველას!!!**

იმ საღამოს... იმ საღამოზე დასასწრებლად თბილისში თოვლიც მოვიდა, ფანტელების - თეთრი ლექსების კორიანტელში თეთრად გაგვათენებინა ღამე (?!) დიახ, დიახ... ღმერთიც წერს ლექსებს, მაგრამ მერე რედაქციებში კი არ დაარბენინებს, დამიბეჭდეთო...

ხევს და ნაკუწ-ნაკუწ ფანტელებად გვაყრის თავზე.

რა ვიცი, იმ დღეს მე ასე მომეჩვენა და მომეთქვენა!

**ფიფქები-ფიქრები...**
**დროთა გარინდებით...**
**დაბორიალობენ ლანდები...**
**მდაბლად თავს მიკრავენ ჩვენი რაინდები -**
**თბილისის ნამდვილი გრანდები!**

იმ საღამოს, თბილისს, ჩვენ სულზე მივუსწარით და თბილისური სულგრძელობით დაუსახელებლადაც ვახსენეთ ყველა, ვინც ჩვენი ხელიდან შენდობას მოელის.

**ო, ღმერთო!**
**ვინც დაგვრჩა ამ წიგნის გარეთა...**
**ვინაც დაგვავიწყდა -**
**სიკვდილს დაავიწყდეს.**
**კამათი არ იყოს, ბიჭებო, მხარეთა,**
**არ გაწყრეთ, ბიჭებო, ღმერთი არ გაგიწყრეთ...**

გიტოვებთ ცარიელ გვერდს და ვისაც ვისი სული გსურთ, ის გამოიძახეთ, ვისაც ვისი ხოში გაქვთ, ის გაიხსენეთ, ის ახსენეთ, რომ ასლი - დედანთან, მე - თქვენთან, ჩვენ - ვერასთან, ვერა კი - თბილისთან სწორი იყოს, თორემ...

**- რა ჰქვია ამას?**
**- მონატრება დედის და შვილის.**
**თბილისში ვცხოვრობ და**
**თბილისში დავეძებ თბილისს!!!**

... მახლას!

ასე და ამრიგად, „პაემანი ვერაზე“ იმ დღეს დაიწყო, მაგრამ ამ დღემდე არ დამთავრებულა... პაემანი თბილისთან გრძელდება. ყველა თაობას თავისი პაემანი ელის დედაქალაქთან. თბილისს ყველამ სული უნდა უბეროს, რომ სული მოუბრუნოს... რომ ორიენტალისტურ სამყაროში ოდესღაც „სიხარულის სახლად“ წოდებული ეს მზეთუნახავი უბრალო მისამართად არ იქცეს.

თუმცა... დღეს სწორედ ის დროა, როცა „ზოგი აქეთ უბერავს, ზოგი - იქეთ უბერავს“ და ამ „სკვაზნიაკში“ სული გაცივდა, კაცი კაცს აღარ ჰგავს, ქალი - ქალს, ქალაქი - ქალაქს და, ჩემმა მზემ, თქვენმა მზემ - თბილისის მზეს დღეს ჩასვლა უფრო ეჩქარება - ვიდრე ამოსვლა...

მე ასე მეჩვენება და მეთქვენება!

დრო მოდის, დრო მიდის.

დრო, დრო აღნიშნეო, - გალაკტიონმა!

**დრო მიდის, გვითვლის ნაბიჯებს**
**და უკან აღარ ბრუნდება...**
**ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს -**
**მეორედ მოსვლის უფლება.**

...ეეე, ეგრე სად არის!

მეორედ მოსვლა ღმერთისა გაუგია კაცს და არა კაცისა! თუმცა აქ, დიახაც, სწორედ ღმერთივით ბიჭებზე და კაცებზეა ლაპარაკი!

„მოვა დრო და მოვუყვებით შვილებს“... საფლავიდანაც მოგვესმის შენი ხმა, ბიჭო, გოგია... დოლის ძეობითა და დაფდაფებით სახსენებელო თბილისის სასაფლაო - საგოდებელზე გულხელდაკრეფილო ბიჭად-კაცებო თუ აქა-იქ შემორჩენილო კაცად-ბიჭებო!

ცოცხლებმა ისიც არ იციან, რაა სიცოცხლე და სიკვდილი საიდან ეცოდინებათო! ეს სიბრძნე კონფუცივით ძველია, მაგრამ არა ჩინურივით ძნელი.

ქართველები კი ასე ვფიქრობთ: სიკვდილი სიცოცხლის ბოლო საიდუმლოაო და ჰიმნებს ვუმღერით სულეთს:

**ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,**
**სიცოცხლე ფასობს შენითაო!** (ვაჟა)

ახლა ხალხური ხმითნატირლები!..

**„სარჩულად ტირილ დაუდევით, ღილებად ცრემლებ დაუკერეთ“...**

საფლავშიაც ... აქაც-იქაც... როგორ აღარ მივტირით თუ მივღიმით, მიწაშიაც, როგორ არ მივყვებით და ვესიყვარულებით ჩვენს სისხლსა და ხორცს... იმის სისხლხორცეული რწმენით, რომ კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არამარტო მას - ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც - ვინც იხსენებს!.. ანუ მკვდარსაც და ცოცხალსაც!

ასე რომ:

**ხმა ვედრების ხავერდების,**
**არა ყალბი, რიოში...**
**მოწვდეს საიქიოსა და**
**მიწვდეს საიქიოში!**

... თბილისი ხასიათიანი ქალაქია და თბილისი სიყრმიდანვე გვზრდიდა თბილისური სულით.

„ვისი სული გსურსო?“.. ბავშვობიდანვე, ასე თამაშ-თამაშით, სულ სულის ძებნაში ვიყავით და ასე ყალიბდებოდა განუმეორებელი ქალაქური სულისკვეთება, თბილისური ხატი, თბილისური გზა და კვალი...

„პაემანი ვერაზე!“ ჩვენი თაობის პაროლად იქცა.

ალბათ, სწორედ ამ გზაკვალმა მოიყვანა ჩვენს ძველ პაემანზე დაგვიანებული ის ათასში ერთი ქალბატონიც, რომელმაც ბევრი სხვა დამწვარი ვერელივით, მარტო თვალი კი არა, სულიც ზედ გააყოლა კარგა ხნის ჩავლილ იმ მატარებელს... 40-50-იანი წლების თბილისი რომ ჰქვია!

გუშინ ძველ ვერელს ძველი ნაცნობივით მომადგა კარზე ახალი ვერელი, მშვენიერი ქართველი მანდილოსანი, ჰამაც ტიტულოვანი, სავიზიტო ბარათის მიხედვით: „დაძმობილებული ქალაქების კოორდინატორი და საერთაშორისო ურთიერთობების“ მენეჯერი ქალბატონი ნანი დვალი. მოვიდა, ასე ვთქვათ, ვერის უბნის ძმობის საიდუმლოს ამოსაცნობად და შინაური თბილისური ურთიერთობების, ანუ გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყოს - „თბილისური ჯადოობის“ ასახსნელ-ამოსახსნელად!



ვერელობით ვიცანით და დიდი ხნის უნახავი მამაშვილივით გადავკოცნეთ ერთმანეთი.

ჩემი თვალის წინ იდგა ვერელი კაცი - **შალვა დვალი!** ... რას წარმოვიდგენდი, თუ ამ გოლიათ კაცს ოდესმე ქალის კაბაში წარმოვიდგენდი, ან მის ქალიშვილს, ლამის ნახევარი საუკუნის შემდეგაც, ასე გაუცნობლად ვიცნობდი!

შალვა დვალი, ვაჟას „კაი ყმის“ თარგზე მოჭრილი კაი ყმა იყო. მარტო ვერის უბნის თვალი კი არა, დედაქალაქის, საქართველოს 8-გზის, საკავშირო... და, საერთოდ, რიგით კაცობაშიც ჩემპიონი კაცი!

შინაურს შენდობა არა აქვსო.

მას ჭილოფშიც ცნობდნენ და შინაურებშიც ჰქონდა შენდობა. მის წინ ქედს იხრიდნენ არა მარტო რინგზე, ქუჩაშიც... რადგან შალვა დვალი თაყვანს სცემდა ქალაქს და ქალაქიც ეთაყვანებოდა მას!

და ეს სიყვარული მან სამშობლოს, დედამიწაზე გამართული 14500-დან ყველაზე სისხლიან - დიდ სამამულო ომში დაუმტკიცა, საიდანაც 7 ჭრილობა და ერთი ამდენი ჩინ-მენდალი ჩამოიტანა.

... დავიწყების ღირსია ის, რაც გახსენების ღირსი არ არისო. **შალვა დვალს** ვერა ვერ დაივიწყებს.

... ისევ ჩვენს სათქმელს დავუბრუნდეთ!

ჩემი სახლის ზღურბლთან იდგა მშვენიერი ქალი, რომელსაც მწერლური ფანტაზიითაც ვერ წარმოიდგენდი კაცად და ისიც რინგზე, ნახევრად მძიმე წონაში, მოკრივის ვეებერთელა ხელთათმანებით... მოწინააღმდეგის კბილებს რომ კრებს სისხლიან ფიცარნაგზე!

ყველა დროის № 1 მოკრივე **მოჰამედ ალის,** ანუ ლეგენდარული კასიუს კლეის მოგონებებში წამიკითხავს: მე ჩემი თვალით ვნახე **ჯო ფორმანისა** და მისი... ჩრდილის ჩხუბიო (?!).

მეც ჩემი თვალით მაქვს ნანახი - იყო დრო, როცა **შალვა დვალის**... ჩრდილისაც კი ეშინოდათ თბილისში მათ, ვისშიც შიში სულაც არ „შეიქმდა სიყვარულს“ და სიძულვილი ბატონობდა!

არადა, ბოროტებას სიკეთეზე გრძელი ხელები აქვს!

არადა, სიკეთეს ბოროტებაზე დიდი მუშტები ჭირდება!

ზუსტად ისეთი, **შალიკო დვალს** რომ ჰქონდა!

და მიუხედავად მისი გოლიათური ძალისა, მანახეთ ქვეყანაზე მასზე ნაწყენი კაცი...

გაგიგონიათ ან გინახავთ, ქუჩაში ან, საერთოდ, მისი უსამართლოდ, უაზროდ მოქნეული ხელი!

კაცმა თუ არ იცის, როგორ მოიქცეს... წესიერად მაინც მოიქცესო - უყვარდა ეშმაკურად ნათქვამი ეს უეშმაკო სიტყვა.

ასეთი ალალმართლობით შეაყვარა თბილისს თავი.

თანაც ნაღდი რაჭველი იყო... უწყინარი, კეთილი, მართალი!

წონასწორობიდან რინგზეც ძნელად გამოიყვანდა კაცი.

... ერთხელ რაჭველების „პაემანზე“ მოვხვდი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, **ქაფიანიძეს** მიჰყავდა. სცენიდან დარბაზში დამიძახა: თქვენც რაჭველი ხართო?

- დღის ბოლოს ყველა რაჭველები ვართ-მეთქი, - ვუპასუხე, თუმცა 1/4 მართლაც მიდგას ბებიაჩემის - **ანა წულუკიძის** (აცხონა ღმერთმა) რაჭული სისხლი, რომელიც, ალბათ, ყოველთვის მშველის ამ გადარეულ დროში (განსაკუთრებით ჰიპერტონიის დროს).

ეს ისე... რაჭული სოლიდარობის ხვანჭკარული დალოცვისათვის.

იმ დალოცვილი **შალიკო დვალის** სახელით კი მინდა, ჩემი „პაემანი ვერაზე“, ის ცარიელი ფურცელი შევავსო, სარეზერვოდ, მემორიალურ დაფად რომ მაქვს წიგნში შემონახული შავით თეთრზე... თეთრის და შავის გასარჩევად.

არადა, **კიტსი** წერს: წერას ატანილს წერის წინ არაფერი ისე არ მაშინებს, როგორც... ცარიელი ფურცელიო, როგორც ხარს კორიდაზე წითელი ფერის ფრიალო.

სწორედ ამ შუაზე ვარ ახლა მე, მაგრამ აქვე, როგორც ყოველთვის, მხარში მიდგას დიდი წინაპარი და **რუსთველური** სიბრძნით ჩამჩიჩინებს, რომ: „შიში შეიქმს სიყვარულსა!“

სწორედ ამ სიყვარულით იწერება ახლა ეს სტრიქონები და ცხონებული **სიმონ ჩიქოვანის** ლექსის პერიფრაზით რომ ვთქვა:

დიახ, ის, რაც ამ სტრიქონით ითქვა,
სწორედ მას ამბობს „წყეული“ რითმა!

... რადგან „სჯობს გვიან - ვიდრე არასდროს“, ამიერიდან ჩემს წიგნში - **„პაემანი ვერაზე“** დაუსწრებლადაც იარსებებს ეს დაგვიანებული სტროფი:

**იყო და არ იყო - ზღაპრული შალიკო,**
**კაცური მალ... ი ყო, გვარადაც დვალ... ი ყო!**

... ეს მშვენიერი ქალბატონი კი დგას ახლა ჩემი კარის ზღურბლთან, ხელში ლამაზი ბოთლი უჭირავს და შემომცინის...

- ეს სამოთხის სასმელია, ბატონო გიზო!.. მე პირველად ვარ თქვენს ოჯახში, როგორც ვერისუბნელი ვერისუბნის „სამოთხეში“. კეთილი იყოს ჩემი ფეხი და ასე ტკბილად დამიბერდით.

**ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი**
**და ვრჩები ასე - ბებერი ბიჭი!**

ფარივით ვაგებებ სიტყვას „უცხო სტუმარს“ და მამაშვილურად ვეფიცხებით ბუხარს.

გავთბით. ცეცხლი ავაგიზგიზეთ. ამ „გიზ-გიზში“ თუ ფიჩხის ტკაცატკუცში გამხიარულდა ბუხარი და მან, ჩემი სახელი, მორის ფოცხიშვილის კალამბურით ახსენა:

„ჩემო ძმაო, ჩემო **გიზო**... ასე უნდა **იგიზგიზო!“**

მერე მუხრანის მუხრანულიც გაიხსენა და სათქმელი ასე თქვა:

**„ბუხართან ზიან ორნი,**
**ოთახს ანათებს ლამპა.**
**- პეტუშა გახსოვს?**
**- იმე!**
**- რა ბიჭი იყო.**
**- აპა!“**

მან თითქოს ბუხარს წაუკითხა ეს იმერული სიამტკბილობის ლექსი, დიდხანს „შენობით“ ელაპარაკა ცეცხლს, მერე მე მომიბრუნდა და მკითხა:

- **შალიკო დვალი** გახსოვთ?

... ამ უდროობის დროში, როცა კაცს კაცი კი არა, თავი აღარ ახსოვს, ღმერთმა ნუ მოშალოს სიყვარულის ის მარადიული „აიდოლტი“, ბავშვობაში თამაშით რომ იწყება და სიბერეში სამარემდე რომ მიგვყვება...

- მამაჩემის ხსოვნა მინდა, წიგნით გადავარჩინო, ბატონო... ორიოდ სიტყვას ხომ არ შეაწევდით ვერელი კაცი ვერელ კაცს!

და მე, და ჩვენ, ორიოდე თბილი სიტყვა ვთქვით თბილისლობაზე, ვერელობაზე, მოსკოვის (ახლა ლეონიძის) ქუჩელობაზე...

„ახლა თბილისში გამარონია და მერე მომკლა, აღარ დავეძებო“ - დაიროხროხა სიტყვაუღრანმა **მუხრანმა.** „ამ ვიწრო ქუჩაზე კომუნიზმი ვერ შემოეტევაო“... ჯერ კიდევ როდის გაგვაფრთხილა თბილისის „ყანწებივით ქუჩებზე“ შეყვარებულმა პოეტმა და თან გულში, ალბათ, გაიფიქრა: ღმერთმაც ნუ ქნასო!

კომუნიზმზე და კომუნიზმის საერთაშორისო ლოზუნგზეც საკუთარი აზრი ჰქონდათ ვერელებს და ენკავედეს გასაგონად, ხმამაღლა თუ არა, ერთმანეთში ჩურჩულით მაინც ამბობდნენ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა... დაიმალეთ, არაფერი გამოდისო“?!

თბილისში კი სულ სხვა ტფილისს ეტრფოდა ძველი ტფილისის მეტრფე, ხარფუხელი და მერე ვერელი სოსო გრიშაშვილი:

**„შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა,**
**ქორონიკონის კენტი და ლუწი,**
**მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა**
**რა სურათები მოქარგა უწინ!“**

აი, სწორედ ამ „სურათების ქარგვაში“ ვარ ახლა მე, ჩემო მკითხველო და განმკითხველო. კალამს ვაწვალებ და კალამი მაწვალებს, კალამს ვეფერები და ვიფერებ, მივყვები თუ მომყვება... წერას ვყავარ ატანილი!.. ჯანდაბას ჩემი თავი, თუ ამ სამოთხეს... ჯანდაბა ჰქვია.

ზემელიდან (ახლა რომ რუსთაველის მოედანს ვეძახით) იწყებოდა ჩვენი ერთი ციცქნა, მგონი, სულ რაღაც 30-ნომრიანი მოსკოვის ქუჩა, თავისი ნავთის, ღვინის სარდაფებით, მეწაღეებით, ფაეტონების რიგით, ფეხსაცმელების მწმენდავი ჯანოებით, მიხოებით, ვახოებით, ჯახოებითა თუ ტახოებით; კინტოობაში გარდამავალი ყარაჩოღელი ჩოლახათი თუ ყარაჩოღელობაში გარდამავალი კინტო ტრუბკათი; ზღვის დონიდან მეტრნახევარი (ნახე, სომხურად რა გამოდის!) მეკურტნე ქურთი ადოთი, პიანინო მარტოს რომ მიჰქონდა აღმართში და ვიწრო ტროტუარზე მანდილოსნის გასატარებლად მორიდებით შეაბრუნებდა მძიმე ტვირთს...

**ზრდილობის სკოლა იყო, ადო!**
**მის კურტანს გაუმარჯოს, თბილისელებო!**
**რამდენი სიკეთე ზიდა.**
**მთებს ძრავდა, მთებს ძრავდა ეს ღმერთძაღლი,**
**თვითონ იყო ერთი ციდა!**

... სწორედ სიყვარულის ეს უზარმაზარი ტვირთი ზიდა „პაემანმა ვერაზე!“

„ასტანოვკა ზემელ!“ - დაიძახებდა ტრამვაის ვატმანი „ზემელზე“ (გერმანელი აფთიაქარი ევგენი ზემელი ამაში ვატმანს კაპიკს უხდიდა) და ტრამვაი სწორედ იქ ჩერდებოდა, სადაც ჩვენთვის დედამიწის ჭიპი იყო - რუსთაველის მოედანი!

**... ვერის აღმართს მოუყვებოდა გალაკტიონი!**
**მთელ გალაქტიკას ზიდავდა გალა... მარა -**
**საკუთარ თავის ზიდვისათვის არ ეყო ძალა!**

ჰოდა, იმ წვერებიან კაცს გაუმარჯოს, ბარბაცით რომ ამოდიოდა „გემოდან“. რუსთაველის ძეგლის ადგილზე... ის იდგა მაშინ და ღიმილით დაგვცქეროდა ზემოდან.

გალაკტიონი იყო საშინლად... ფხიზელი!

... მერე მოსკოვის ქუჩის ბოლოდან (30) მეწყერივით წამოვიდოდა ჩემი **ოთარა მგელაძე.**

**სანამ ის დაბოგინობდა ქვეყანაზე,**
**ჩვენს ქუჩას პატრონი ჰყავდა.**
**სანამ ცუდი კაცის ჯავრს არ ამოიყრიდა,**
**ჭკუაზე შეშლილსა ჰგავდა.**

იქვე, უტეხი **კოკა მუჯირი!**

აქვე **კოკა იგნატოვი** - ფიროსმანის ნატეხი. ორივე კოკა სიყვარულში დაიღვარა; ორივე კოკა სიყვარულის ცხრაწყაროზე გატყდა!

მერე მოსკოვის ქუჩა, № 20.

აქ ფეხაკრეფით დავდიოდი. აქ სულით ხორცს ებრძოდა ლოგინს მიჯაჭვული კაცი - მრავალ სახეობა, კაცი-ლეგენდა **უშანგი ჩხეიძე.**

მოსკოვის ქუჩა № 17-დან ვეებერთელა მუშტებითა და ჩასაპანდური ნაბიჯით მოაგელვებდა ვაჟას „კაი ყმის“ თარგზე მოჭრილ კაი ყმობას **შალიკო დვალი.**

მოსკოვის ქუჩის 15 ნომერში უბანს გვირგვინად ადგა „ვერელების ვერნისაჟი“ - სახალხო მხატვრის, დავით კაკაბაძის სახლი!

**ამბობენ, სიკვდილსაც კარგები უყვარსო,**
**მას რაღა სიკვდილი არჩევინებს?..**
**ერთი კი ნაღდია - ადრე წასულები**
**რაღაცით ჯობია დარჩენილებს!**

... მოსკოვის ქუჩა 6 ნომერი!

პატარა ბიჭის ხსოვნაში ბჟუტავს ჩემი ალალი უფროსი ბიძაშვილები: **ოთარი, გივი, კაკლი ნიშნიანიძეები.**

17 წლის **კაკლის,** ანუ **ირაკლის,** ჩვენი უბნის სამ ირაკლისთან ერთად (არცერთი აღარაა ცოცხალი ცნობილ პედიატრ **ირაკლი ციციშვილის** გარდა) საქართველოს ალალი, „ბავშვური“ სიყვარულისათვის ციმბირი უკან დაბრუნებინეს. მათ სიყრმის მზეს ამოსვლაც არ აცალეს... ისე ჩაასვენეს.

აქვე მითქვამს შენდობა კაცობიდან ამ ადრე წასული ბიჭებისათვის... **ლევან გოთუას** გამოგზავნილი წერილის სტრიქონთაშორისი შეფარული საკითხავით:

**„არ ვიცი, რატომ მიყვარს ასე ჩემი სამშობლო...**
**იმიტომ, რომ შორსა ვარ მისგან?..**
**თუ იმიტომ ვარ შორს, რომ ასე მიყვარს**
**ჩემი სამშობლო?“**

... ცოტა დაბლა, მოსკოვისა და ბარნოვის კუთხეში იდგა კაცი, რომელიც ერთ ქუჩას, უბანს, ქალაქს კი არა, მთელ საკაცეთს ეყოფოდა კაცობის გვირგვინად თავისი „ბრალიანი“ უბრალოებით.

**ღმერთმანი, არ გაჭარბებ...**
**მიწიერ ღმერთებს არ აქვთ შენდობა -**
**კაცი მიწაზე ღმერთს არ ენდობა,**

თორემ... ახლა ბევრი ფიქრობს, **ეროსი,** რომელსაც სახელიც ღმერთისა ჰქონდა, ხმაც, აღნაგობაც ღმერთისა ჰქონდა, იმიტომ ვერ ვიწამეთ ღმერთად, რომ ყოველ დილით პირზე კოცნით გვხვდებოდა!

ასე იყო **ჩირგოც!** - განათლებით ექიმი (ინსტიტუტის დირექტორი), გაუნათლებლად - ბუნების ნათავსებდარი კაცი - მსახიობი, ფილოსოფოსი, პოლიგლოტი, მუსიკოსი, გენიალური იმპროვიზატორი, არლეკინი... ნიჭიერების ქათი!.. მხოლოდ ერთადერთი რამ არ იცოდა - რა იცოდა და რა არ იცოდა!

ღმერთია მოწმე, არა თბილისური ხელგაშლილობით და არა უძღვნები შვილის გამოძლიერობით, ცხოვრებაგამოვლილი კაცის წინდახედულებით თუ წინ გახედულობით, ასე ვთქვათ, „ოქმურისა და მისი რაზმის“ სახელით მითქვამს, რომ **თემიკო ჩირგაძე** დააკლდა არა მარტო ქალაქს, არამედ... კაცობრიობას (მაპატიოს მისმა სულმა და მკითხველმაც: მგონი, პირველად ვამბობ ჩემს სამწერლოში ამხელა სიტყვას!). **ჩარლი ჩაპლინის** დროის ვინ იყო მეფე, ვის აინტერესებს? ის იყო თვითონ უგვირგვინო მეფე!

ასეა ეს! სახელმწიფო კაცობასთან... თუ გნებავთ, პირველკაცობასთან შედარებით, რიგითი კაცობის ეშხი იმაშია, რომ **ჩირგოსთან** კაცებთან ძმაკაცობის ფუფუნებას, ყველაზე ძვირფასში - ადამიანური ურთიერთობის საგანძურში, არარა სიმდიდრე არ შეედრება!.. თუმცა, **ჩირგო** ერთმა ისეთმაც შეიცნობა, არც ისე ძნელი გასაგები იყო, ცოცხალი მკვდარს ამშვენებდა თუ მკვდარი ცოცხალს!

გამგები გაიგებს!

... როცა სიცოცხლით სავსე ამ კაცის სიკვდილი მითხრეს... ერთი სიკვდილი მეც გავათავე. როცა ეს ამბავი გავიგე... წიგნს ვწერდი... იმავე ფურცელზე მივატოვე ის, რასაც ვწერდი და დავწერე ის, რასაც ახლა კითხულობთ, მკითხველო:

თუ სიკვდილმა იცის თეიმურაზ ჩირგაძის ფასი... ალალი იყოს-მეთქი!

ვერისუბნის გულში და ხსოვნაში კი ამ კაც-სასწაულს რა სიკვდილი მოკლავს!

... და აი, მგონი, მივედით!

მოსკოვის ქ. № 2.

ახლა აქ კინოს სახლი თუ სასახლე დგას!

მაშინ კი ორსართულიანი სახლი იდგა, თავის იტალიური... თუმცა არ დამიწყოთ ახლა იტალიური, იტალიური კი არა, თბილისური დიდი ეზოთი, ნავთის სარდაფით, წინ „ტიფსელპრომით“ (ასე ეძახდნენ ხილისწყლების პატარა ქარხანას), სახინკლე-საქაბაბეთ და... არყისფერი დილით, ხოშით, ნემეცკი სოოტით, ძმობის საბაბით და „კატუშას“ ჭურჭებივით ქაბაბით!

გამარჯობა, გიზო, შენი!

გიზო, შე გიჟო!..

ხალხნო, ეს ჩემი სახლია... ეს ჩემი ფანჯარაა. ეს ჩემი ფანჯარაზე ჭრილობის შესახვევი „ბინტით“ ჩამოკიდებული (დედაჩემის დამზადებული) სწორედ ისეთი „სამოთხის სასმელია“, აგერ ახლა ქალბატონმა **ნანი დვალმა** რომ მომართვა და ვერელობის საღერღელი ამიშალა... „ვიშნოვკა“, როგორც მაშინ ვეძახოდით.

ჰოდა, სწორედ ამ სამოზნისათვის მოუხუჭია ცალი თვალი ვიღაც მაუზერისტს, კაი ნაყლაპს მიზანში ამოუღია და ის იყო, ჩახმახისთვის უნდა გამოეკრა ხელი, რომ მე... მაშინ 17 წლის ბიჭს, იქ, ვიღაც ნაცნობი აღმომჩენია და მისთვის ხელი აუკრავს: ბიძაჩემი, ხელი აიღე, ეგ ჩვენი მეგობარი ცხოვრობსო!!!

მაააშ?!.. ეჭნებ, სულაც, აქედან იწყება **გიზო ნიშნიანიძე!..**

მახლას!.. ახლა ისევ იმ ვერაზე ვარ და მოსკოვის ქუჩის ფეხით თუ ფიქრით მივუყვები...

ეს მრავალწერტილები ჩვენი ფეხის ნაკვალევს ჰგავს... ათას რამეს რომ გულისხმობენ, მიგვანიშნებენ და ზოგჯერ საიდუმლოდაც ინახავენ.

ეს ჩემი თაობის ნაფეხურებია! **ოთარა მგელაძისა** და მისი **მზეთუნახავი იუნონასი; კოკა მუჯირისა** და მისი **„ლურჯი აპრილის“ - ცაალასი; კოკა იგნატოვისა** და მისი მშვენიერების **ნინკასი,** განუმეორებელი **მანუშკი მირიანაშვილისა, დორიან გრეის** - უბერებელი **კაკა ხინთიბიძის,** მთლად ივავმიუხედველი „შავი ბრილიანტის“ **ბუბუსია თვალავაძისა** და მარადიული ბავშვის - **დათა გამრეკელის,** ლეგენდარული **სპარტაკ ბაღაშვილისა** და **ჩიტლიასა**... რომელიც ერთის!!!

**ბუბუსია თვალავაძე** შავი ბრილიანტის თვალებს რომ გადაგვებრიალებდა, კედელზე ავკარავდა მისი სილამაზით შეშინებულ ვერელ ბიჭებს; სარგადაყლაპულება ვუყურებდით **ლია სარიშვილს!** მის დანახვაზე ნერწყვი გვხრჩობდა... ჯერ კიდევ უმწიფარ ვერელ ბიჭებს.

ამ ვიწრო ქუჩაში კომუნიზმი ვერ შემოეტევაო და ამხელა სიყვარული კი ეტეოდა!

... არა, ამას დღეს ვერც გაიგებენ და ყურშიც არ შეუშვებენ თანამედროვე კალგოტკიანი, საყურეებიანი, გაურკვეველი სქესის ადამიანები!

ამას წინათ **ლია სარიშვილის** ქალიშვილმა მითხრა: დედაჩემს გაჩვენებო და სახლში მიპატიჟება დამპირდა... გულზე ხელი შემიძლია დავიდო და ვთქვა... ვერ გავბედე?!.

ვერ გავბედე, ამდენი ხნის მერე იმ სილამაზისათვის თვალი გამესწორებინა!

... ორივ სოფელში გაგიმარჯოთ, ჩემო ვერელებო, ჩემო თბილისელებო, ასე რომ აკლიხართ თბილისს!

**ნეკროლოგს ვეძახით ხსენების ამ ნებას,**
**ცრემლის პოეზიას, პროზასა და ეპოსს...**
**თარიღი რად უნდა კაცის გახსენებას -**
**ახსენე იქ, საცა ეს ღმერთმა ინებოს!**

... ვერის სასაფლაო!

მარადიული „პაემანი ვერაზე“,
ყველაზე სევდიანი პაემანი!

აქ განისვენებს ჩემი **თენგიზ კორინთელი** (პირველი შვიდკაცადან), რომლის ბანი, რიკოთის უღელტეხილზე რომ დაგვესვათ... აღმოსავლეთ საქართველოსაც ეყოფოდა და დასავლეთ საქართველოსაც!

მაინც რამდენი ლამაზი სული ეტევა ვერელობის ამ „ალგორითმში“!..

**„მიწა ვარ, ცა ვარ, სივრცე ვარ, დრო ვარ!..**
**მომენატრება სიკვდილი - წავალ,**
**მომენატრება სიცოცხლე - მოვალ!**
*(ზ. ბოლქვაძე)*

სამარისებური სიჩუმით მისმენენ საფლავები და ხმამაღლა ჩავძახი:

**„მესაფლავევ, ახლა კი გაქვს ნება,**
**რაც გსურს, კვლავ ისა თქვა“.**

მაგრამ...

როგორ გავუბედავ გალაკტიონს სიტყვის შებრუნებას!

და მაინც, თურმე, ყოველთვის როდი **„ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა!..“**

ადრე წასულო ჩვენო სისხლო და ხორცო! თქვენ ჩვენთვის ყოველთვის ცოცხლები ხართ. თქვენ ხსოვნას სამარის ქვა ვერას მოერია, თუმცა სულს ლოდივით აწევს.

ისევ ზაურის უკვდავ სტრიქონს მოვიშველიებ:

**„გადაუარა ბალახმა სიკვდილს -**
**სიცოცხლის წერტილს.**
**შენ ჩემთვის - როგორ არა ხარ,**
**მე აღარა ვარ შენთვის!“**

... სასაფლაოზე ყველაზე დიდი მუსიკა სიჩუმეა, რადგან დოსტოევსკისა არ იყოს: სასაფლაო სიჩუმისა და მოწყენილობის საუფლოა და ვერის სასაფლაო ელისიონის კუნძულს ჰგავს, სადაც მართალნი განისვენებენ.

ერთ სიტყვას **მურმანს (ლებანიძეს)** „შევუბრუნებ“ და მარადისობაში საგზლად გავატან მოუსვლელობაში წასულ ჩემს ძმაკაცს - **გივი ნიჟარაძესაც! მშვიდობით!**

**გაღმა სოფელი მოჩანს...**
**აჰა, სიკვდილო**
**ფეხებს ვერ მოგჭამს.**

აგერ ახლა, კიდევ ერთი ფენომენალური სპორტული და კიდევ უფრო არაჩვეულებრივი ადამიანური ბიოგრაფიის, სიკეთით სავსე კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, თვალსა და ხელს შუა გაქრა და ის დღე ამ სტრიქონს შემომადება ვერის სასაფლაოზე.

**წუხელ ფიქრებში წავედი**
**და ჩვენს გამჩენსაც ვეძიე:**
**თუ წასასვლელი ვიყავით,**
**რას მივდიოდით, ნეტავი?!**

აფსუს!

სულ რამდენიმე დღეა, კიდევ ერთი ჩემპიონი ბიჭი (თანაც მსოფლიო ჩემპიონი!) მივაბარეთ ვერის სასაფლაოს. მარტო თბილისმა კი არა, მთელმა საკაცეთმა გამოიტირა ეს ოლიმპიელი ბიჭი - „მფრინავი ბიჭი“!

ასე გაჩნდა კიდევ ერთი საფლავი, რომელიც გულზე ლოდად აწევს საქართველოს.

აქ განისვენებს 2 ზურაბ საკანდელიძე.

ერთი მამა, მეორე შვილი!

... ბავშვობაში მე და **ოთარა მგელაძე** (ამ საფლავისა და ვერისუბნის პირველი ჭირისუფალი) ვერის სასაფლაოს სამარისებური სიჩუმის ეშხით აქ გაკვეთილების სასწავლად ამოვდიოდით და სწორედ აქ წავაწყდით ერთი საფლავის ეპიტაფიას:

Вчера я по кладбищу ходил
И там все надписи изучил...
Двум-трем сказал: зачем ты умер?
А остальным - зачем ты жил?

... ღმერთო ძლიერო! ნეტავ ისიც დავიჯერო, რომ ეს მოგონებებიც, ასე ვთქვათ, დეტერმინირებული, ანუ გარკვეულ მიზეზობრივ კავშირშია?.. მაგრამ ახლა რომ ჰკითხო, ყველა მოვლენა ურთიერთგაპირობებულია!

... კაცმა კაცისა იცის, ღმერთმა კი ღმერთისა უწყის!

პოეზიის ენაზე კი: ახლაც მახსოვს, როგორ აქსოვს ტკბილი სიტყვა... რაც ენაზე ეკერათ და მომესმოდა ყურის იმ ერთ გაწყენაზე...

**ფიქრით, მე ახლაც, ისევ იმ „ვიშნოვკის“ ბოთლჩამოკონწიალებულ, მოსკოვის ქუჩა №2-ში მდგარი ორსართულიანი ძველი სახლის ფანჯარაზე ვარ გადმოყუდებული, ყურს ვუგდებ ჩემს პატარა ქუჩას (რომლითაც დიდი ცხოვრების გზაზე გავედი), გავცქერი ჩემს წარსულს - მომავალზე ვფიქრობ და ახლაც ჩამესმის გამვლელ-გამომვლელის ფეხის ხმა, დაუწყებელ-დაუმთავრებელი თბილისური ამბავ-ხაბარით... ვერაზე მდგარი თბილისის თეთრი ეკლესიის ზარებში კი ტკბილად რეკენ და ჩამესმის „რწყილისა და ჭიანჭველას“ ავტორისა და ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის შიო მღვიმელის შვილთაშვილის - უპატრონოთა თავშესაფრის - ზემოთ მდგარი, დარიბული და „ობლებად“ წოდებული ბარის „პროზაიკების“, ნიაზასავით სმას გადაყოლილი შოთა დედაბრიშვილის დითირამბი:**

**გამარჯობა, ჩემო თბილისურო**
**მემუარულო ტროტუარებო.**
**წერეთ თქვენი თბილისური**
**ტროტუარული მემუარები!**



ხვალემ იზრუნოს ხვალისა,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!
ღვინომ მიიღოს ღვინისა,
წყალმა წაიღოს წყალისა!

შეხედე, როგორ ჩქარია
ამქვეყნიური ტიტები,
შეხედე, რა ცისმარივით
წყალი წყალს მიეზიდება.

არც ვწუხვარ, არც მერიდება
მიმავალ—მომავალისა:
წყალმა წაიღოს ტიტები,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!

ხვალემ იზრუნოს ხვალისა,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!
ღვინომ მიიღოს ღვინისა,
წყალმა წაიღოს წყალისა!









**„მერის“ პირვანდელი ვარიანტი**
(იბეჭდება პირველად)
შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი მშვენიერო მერი,
ვინ აღწეროს შენი სახის მაშინდელი ფერი.
ვინ ასახოს მისი იმჟამს უცხო კრთომა და იერი
მაინც ტურფა, მაინც სათნო და უზომოდ მშვენიერი.

















სოსო ჯაჭვლიანი:






ელიოზი - ოთარ მეღვინეთუხუცესი

სტუმრად ქეთი ხამიტაშვილის კინო-დარბაზში

# შეყვარებული თუ გათხოვდა, ოჯახში აღარ უნდა შეხვიდე!

**სოსო ჯაჭვლიანი** ***(გედია):*** — ფილმში გადაღების დროს 16-17 წლის ყმაწვილი ვიყავი (1975-76 წლებშია გადაღებული, ახლა თქვენ გამოინგარიშეთ, დღეს რამდენი წლის ვარ). საერთოდ, ჩემს ასაკს არასდროს ვამხელდი. მოგეხსენებათ, სპორტსმენიც ვარ, ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად პასპორტში ასაკის გადაკეთება მიხდებოდა ხოლმე, თან თვითმფრინავის ბილეთის თანხასაც ვზოგავდი. ერთხელ ჩემმა ცოლმა მითხრა — იმის მიხედვით, რაც პასპორტში გიწერია, 1976 წელს სამი წლის უნდა ყოფილიყავი, არადა, „ნატვრის ხეში" სამი წლის ნამდვილად არა ხარო... *(იცინის)*. სანამ ამ ფილმში გადამიღებდნენ, „კავკასიურ რომანსში" მივიღე მონაწილეობა. რეზო ჭარხალაშვილმა მნახა კინოსტუდიაში. მითხრა: — თენგიზ აბულაძე ფილმს იღებს, ზუსტად შენნაირი ბიჭი სჭირდებაო. ვიცრუე და თავი გამნათებლად გავაცანი. რა თქმა უნდა, ბოლოს ყველაფერი გაირკვა. არაჩვეულებრივი ჯგუფი შეიქმნა, თვითონ თენგიზ აბულაძე იყო დიდი პიროვნება. მას ჩემს მასწავლებლად მივიჩნევ.

ამ ფილმში ყველაფერია - სიყვარული, თავდადება. **მიყვარს ჩემი გმირი, მაგრამ მისი მოქმედება ჩემთვის მიუღებელია.** ხომ გახსოვთ, თავის შეყვარებულ გოგონასთან რომ მიდის — უკვე გათხოვილთან- ფილმში ეს ეპიზოდი ერთ-ერთი ულამაზესია, დრამატული, მაყურებელს მოსწონს, მაგრამ **რეალურ ცხოვრებაში არ შეიძლება უკვე გათხოვილ ქალს ოჯახში მიადგე. ეს დაუწერელი კანონია, სიყვარულმა კაცური მოვალეობა და თავდაჭერილობა არ უნდა დაგაკარგვინოს. ასეთია ჩემი პოზიცია...**



მარიტა - ლიკა ქავჟარაძე

**ლიკა ქავჟარაძე** ***(მარიტა):*** - „ნატვრის ხეში" 15 წლის ვარ. ეს არ იყო ჩემი სადებიუტო ფილმი, მანამდე რამდენიმე ფილმში გადამიღეს, მათ შორის, თუ გახსოვთ, „კავკასიურ რომანში". მარიტას როლის შესრულება არ გამჭირვებია, მაგრამ თვითონ გმირის ცხოვრება იყო დრამატული. **განსაკუთრებით მძიმე იყო იმ ეპიზოდის გადაღება, როცა იმ სიცივეში პერანგისამარა ვირზე უკუღმა შემსვეს. ამდენი წელი გავიდა და დღესაც ვფიქრობ ამ ფილმზე, გადაღების პროცესზე, ეპიზოდებზე.** მახსენდება ქალბატონ სესილიასთან ურთიერთობა - თბილი და საოცრად ყურადღებიანი ადამიანი იყო, მართლაცდა, ისეთი ბებია, როგორიც ფილმშია. კარგი იქნება, თუ რომელიმე რეჟისორი მოიფიქრებს, ისევ შეკრებს „ნატვრის ხეში" მონაწილე მსახიობებს და ფილმს გადაიღებს...

**ბიბი დაუშვილი,** ***კოტე დაუშვილის ვაჟი:*** - მამა თავის გმირებს ტელეეკრანზე არ უყურებდა, შესრულებული როლების შესახებ არასოდეს მსჯელობდა. ვფიქრობ, ციციკორეს როლი შესანიშნავად ითამაშა. უყვარდა ეს ფილმი, ყველა გმირი. 1980 წელს გარდაიცვალა, ფილმში 67 წლის გახლავთ. სანამ გარდაიცვლებოდა. ერთი წლით ადრე ავარიაში მოყვა. ფეხი მოიტეხა. ერთი წელი მკურნალობდა, სიარული უჭირდა. საავადმყოფოში იწვა, შემდეგ გაგრაში გაემგზავრა სამკურნალოდ, მაგრამ იქიდან უფრო დამძიმებული ჩამოვიდა. რა თქმა უნდა, მკურნალობა გააგრძელა. **გარდაცვალების ცნობაში დიაგნოზი ინფარქტი დაწერეს, მაგრამ უფრო ამ მოტეხილობამ, განცდებმა გატეხა. ძლიერი კაცი იყო, მუშაობის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ბოლოს ამბობდა - სიარული თუ ვერ შევძელი, ჯობია, მოვკვდეო..** მისი ოჯახის წევრები საქართველოში არ ვცხოვრობთ, მე ოჯახთან ერთად გერმანიაში ვცხოვრობ, ჩემი ძმა. ჯანგირი - რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში.

**ზაზა კოლელიშვილი** ***(შეთე):*** - სანამ ფილმში გადამიღებდნენ, სპორტით ვიყავი დაკავებული, ხელბურთს ვთამაშობდი. ბატონმა თენგიზმა სწორედ ვარჯიშის დროს მნახა. „ნატვრის ხე" ჩემი სადებიუტო ფილმია. მომწონს ჩემი გმირი, ვაჟკაცი ბიჭია, პრინციპული. გადაღება არ გამჭირვებია, მაგრამ ერთი კია - მეტად რთული იყო მათრახით ცემის ეპიზოდი. რამდენიმე დუბლი გადავიღეთ, ბატონ თენგიზს არ მოსწონდა, ბოლოს გაბრაზებულმა თქვა - „Детский сад"... როგორ ვერ უნდა შევძლო-მეთქი, გავიფიქრე და ერთი დუბლი კიდევ გადამიღეს. გამოვიდა! რეჟისორი კმაყოფილი დარჩა... ფილმში 18 წლის ვარ, **ახლახან 52 წელი შემისრულდა, 5 შვილის მამა ვარ.**



შეთე - ზაზა კოლელიშვილი



გედია - სოსო ჯაჭვლიანი

- სოფიკო ყველა როლისთვის განსაკუთრებით ემზადებოდა, საგანგებოდ მეცადინეობდა, მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლები. ფუფალას გმირი მისთვის განსაკუთრებული იყო. **სოფიკო თითქოს ძლიერი და მიზანდასახული ჩანდა, მაგრამ შინაგანად რომანტიკული იყო, როგორც ფუფალა - კეთილი, სუსტი.** ამ ფილმში განსაკუთრებით მომწონს ფუფალას დამოკიდებულება ბავშვებთან, მისი კეთილშობილება. ამ გმირმა სოფიკოს ბევრი პრიზი მოუტანა.



**ასმათ ტყაბლაძე,** *მსახიობი,*

მარადია — სესილია თაყაიშვილი



ციციკორე — კოტე დაუშვილი

ჩვენი სტუმრები არიან «ნატვრის ხის» დრამატული გმირები — ულამაზესი მარიტა, შეყვარებული გლეხის ბიჭი გედია, ამაყი შეთე, ფუფალა, ციციკორე, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს შემოვიდნენ ჩვენს ცხოვრებაში და აღარ მიგვატოვეს...



**ნიკუშა შენგელაია,** *სოფიკო ჭიაურელის ვაჟი.*

ფუფალა - სოფიკო ჭიაურელი

- ამ ფილმში ეპიზოდურ როლში ვთამაშობ, წყაროსთან ჭორიკანა ქალები რომ სხედან, მათ შორის ვარ (ჩემი გმირი წყაროსთან მისულ შეთეს ეპრანჭება). სხვათაშორის, ამ როლის მიღებაში სესილია წამეხმარა - სცენარი რომ წაუკითხავს, თენგიზისთვის უთქვამს - ასმათისთვის არაა როლი?! საოცარი ქალი იყო. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, უახლოესი მეგობრები ვიყავით. მისი ბოლო როლი იყო ბუღალტერი ელდარ შენგელაიას ფილმში „ცისფერი მთები, ანუ ტიანშანი". დიაბეტი ჰქონდა, ინფარქტიც გადაიტანა ბოლო წლებში. გარდაცვალების წინა დღით ტელეფონით ვესაუბრე - თეატრში ხელფასს ავიღებ და მოგიტან-მეთქი (მართალია, თეატრში აღარ თამაშობდა, მაგრამ ხელფასს უხდიდნენ). ბევრი ვისაუბრეთ, ვიცინეთ. უცებ ხველა აუტყდა, თევზი ვჭამე, ალბათ, მაწყინაო... თურმე, კუჭის წყლული გაუსკდა. ოპერაციის გაკეთებიდან სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. მახსენდება ერთი ეპიზოდი: ქალბატონი სესილია საავადმყოფოში იწვა, სანახავად მისულმა რამაზ ჩხიკვაძემ ჰკითხა: - სესო, რა გაგიხარდება, რა მოგიტანოო. სესილიამ უპასუხა - შენხელა პაპიროსი მომიტანეო (მოწევა აკრძალული ჰქონდა). ყიდულობდა ძალიან უბრალო სიგარეტს, მგონი, „პრიმას"...

**სოსო ჯაჭვლიანი:** - ნარგიზის როლის შემსრულებელი, ტემინა ტუაევა, არაჩვეულებრივი ადამიანია. მაშინ იგი ასაკში შესული ქალბატონი მეგონა, მაგრამ როგორი ახალგაზრდა ყოფილა, ძალიან კარგად შევეთვისეთ, გადაბდღვრიალებული ქალი იყო. ბატონმა თენგიზმა ვლადიკავკაზიდან ჩამოიყვანა.

**ასმათ ტყაბლაძე:** - ტემინასთან ვმეგობრობდი, რამდენიმე წლის წინათაც იყო ჩამოსული. ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობს, ვლადიკავკაზში, კინორეჟისორია. გიჟდებოდა სესილია თაყაიშვილზე. ნიჭიერი ქალია, ჩრდილოკავკასიაში საკმაოდ ცნობილი რეჟისორი.



ნარგიზა — ტემინა ტუაევა

**ღვაწლმოსილმა რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ თეატრალური სარდაფის სცენაზე ალექსანდრე ჩხაიძის „შთამომავლობის" რეტროსპექტივა განახორციელა. თეატრის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ეს სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მასში ლეგენდარულ ვერიკო ანჯაფარიძესა და იაშა ტრიპოლსკის მხარს უმშვენებდნენ ახალგაზრდა მსახიობები: გივი ბერიკაშვილი, ჯემალ მონიავა, ნინო ხომასურიძე, ნოდარ მგალობლიშვილი. განახლებულ სპექტაკლში ფატი გურიელის როლს ცნობილი მსახიობი ხათუნა იოსელიანი ასრულებს.**

ლაშა ოყროშიძე ასრულებს. თამაშობენ ასევე: დათო ტორჩინავა, დონარა გვრიტიშვილი, გაიოზ გუჯეჯიანი.

**- რეპეტიციები დიდხანს მიმდინარეობდა?**

- გოგისთან რეპეტიციები დიდხანს არ გრძელდება. თუ როლზე მიგიწვია, უკვე კარგად მოფიქრებული და ჩამოყალიბებული აქვს ყველაფერი - ყოველი სცენა, დეტალი.

**- რით არის ეს სპექტაკლი წინამორბედისაგან განსხვავებული?**

- აქ ჩვენი დროის წუხილია გადმოცემული. შევნიშნე, რომ 18-20 წლის ყმაწვილები სპექტაკლის შემდეგ ტიროდნენ. მაყურებელი დაიღალა ამდენი უნიჭო შოუს ყურებით, მოენატრა ნამდვილი ხელოვნება. ეს პიესა რა ენაზეც არ უნდა თარგმნოთ, ყველგან აქტუალური იქნება. ამერიკაშიც კი, მთელი მსოფლიოს ნაძირალები რომ იყრიან თავს, დიდი გამოხმაურება ექნება. შედით თანამედროვე ოჯახებში: ყველა თავის ოთახშია ჩაკეტილი, ახალშეუღლებული წყვილი ცალკე იწყებს ცხოვრებას. ჩემი გმირი, ფატი გურიელი, წინაპართა ტრადიციებს ებღაუჭება, ცდილობს, ოჯახს ღირსების გრძნობა შეუნარჩუნოს. იმ მრგვალ მაგიდასთან, მათ სახლში რომ დგას, თავადებიც ისხდნენ და გლეხებიც, კამათობდნენ კიდეც, მაგრამ ღირსება და სამშობლოს სიყვარული არ დაუკარგავთ. უპირველესად ამას უსვამს ხაზს ფატი გურიელი.

**- როდის ნახეთ ეს სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში?**

- როცა სკოლის მოსწავლე ვიყავი. ვერიკოს დაკრძალვის დღეც ღრმად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში: უკანასკნელ გზაზე ახალგაზრდები მიაცილებდნენ, „რა ბედნიერი ქალია-მეთქი",- გავიფიქრე. ალბათ, ქალბატონმა ვერიკომ მაშინ დამლოცა. ჩემი ძმა, საშკა, ამბობდა: „ამ 80 წლის ქალს ისე უბრწყინავს თვალები, როგორც 16 წლის გოგოსო". შინაგანი ხიბლია საჭირო, თორემ ლამაზ ქალს რა დალევს! ერთიც აღსანიშნავია - ჩვენი სიდიადე სწორედ კეხიანი ცხვირია.

**- სპექტაკლში კომიკური სცენები თუ არის შენარჩუნებული?**

# „შთამომავლობა" ათეული წლის შემდეგ გაცოცხლდა!



ვერიკო ანჯაფარიძე



ნოდარ მგალობლიშვილი და გივი ბერიკაშვილი

- ბატონმა გოგი ქავთარაძემ დროულად მიიღო გადაწყვეტილება, გაეცოცხლებინა ცნობილი სპექტაკლი „შთამომავლობა" და ამით ახალგაზრდებში ღირსებისა და ოჯახის პატივისცემის გრძნობა გაეღვიძებინა. ადამიანს თუ ფუძე არა აქვს, არ იცის, საიდან მოდის და საით მიდის, მომავალიც არ ექნება. მაშინაც კი, როდესაც ამ სპექტაკლში ბებიის როლს ქალბატონი ვერიკო თამაშობდა, იმ თაობისთვისაც საჭირო და აუცილებელი იყო ასეთი ცხოვრებისეული მაგალითების ჩვენება. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბედნიერება მხვდა წილად, ეს როლი მე განმესახიერებინა. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ვერიკოს გმირის ზუსტი ასლი გადმოვიღე. ჩემი პერსონაჟის ვარცხნილობა ბებიაჩემის - გოგოლა ყიფიანი-დადეშქელიანის სურათიდან შევარჩიე. ვარცხნილობა პიროვნების შინაგან სულისკვეთებას გამოხატავს. ბებიაჩემი მეტყოდა ხოლმე: შინიდან გასვლის წინ მოიწესრიგე შიდა თეთრეული, ვარცხნილობა, წინდა, ფეხსაცმელი, გარედან როგორ კაბას ჩაიცვამ, ნაკლებად საინტერესოა, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი ხიბლით უნდა გამოირჩეოდესო.

**- ძველი თაობის მსახიობებიდან ვინ თამაშობს სპექტაკლში?**

- გოგიმ 20-22 წლის ნიჭიერი მსახიობები მოიწვია. ძველებიდან ვერიკო და იაშა ტრიპოლსკი ცოცხლები აღარ არიან. გივი ბერიკაშვილი და ნოდარ მგალობლიშვილი ასაკში შევიდნენ, ნინო ხომასურიძეც ვეღარ ითამაშებს შვილიშვილის როლს. ახალ სპექტაკლში გურამის როლს



ფატი გურიელი — ხათუნა იოსელიანი
გურამი — ლაშა ოყროშიძე



სცენა სპექტაკლიდან „შთამომავლობა"

- რა თქმა უნდა, ნარდის თამაშიც, მეგრულ კილოზე საუბარიც...

**- პრემიერაზე ძველი თაობის მსახიობები თუ იყვნენ?**

- არა, ალბათ, ვერ გაიგეს. მთავარია, ახალგაზრდობა მოვიდა. მეც კმაყოფილი ვარ. ასაკის მიუხედავად, სულით ახალგაზრდა ვარ. „Возрост это каличество, а не качество". გავუფრთხილდეთ ჩვენს წარსულსა და მომავალს. ჩვენი პრეზიდენტი სიამაყით ამბობს ხოლმე - წერეთლებისა და აბაშიძეების შთამომავალი ვარო. ამიტომ ვეპატიჟები, მოვიდეს და ნახოს ეს სპექტაკლი.

## მეორე სათქმელი: ქვეყნიერებაზე ყველაზე გრძელი ღამის მისტერია

უკიდეგანო ცის დასალიერი წამიერი ნათებით გადასერა სინათლის ვიწრო ზოლმა, თითქოს გაბზარაო ბნელეთის კაბადონი უსაზღვრო ნათების თვალისმომჭრელმა სხივებმა, ანაზდეულად რომ იზიდავს თითოეულ მოკვდავს ზესკნელის სფეროში გამოუცნობი ნეტარებისთვის. ისევ ჩამობნელებულ უკიდეგანობას გააყოლა თვალი, თითქოს თვალის ჩინი უსასრულობის სპექტრში ჩაიძირაო. ეძებდა თვალსაწიერშეზღუდული ცისკიდეს. მერე ბავშვებს დახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა, ჩაილაპარაკა ისე, თითქოს გალობსო:

„იძინეთ პატარებო, ბავშვობაწართმეულო ჩემო შვილებო, სიცოცხლეშემოკლებულო ბიჭებო!“...- ნიკაპი აუთრთოლდა დედას და რადგან ბავშვებს ეძინათ, მას კი არ უნდოდა, შვილებს დედის ცრემლი ოდესმე ეხილათ, თავს უფლება მისცა ცრემლებისთვის თავისუფალი გზა მიეცა და ქალური გრძნობები გადმოეფრქვია თვალთაგან,- „აღარც ნაძვის თვალ-კორძებს ღეჭავთ, სხვა დროს რომ რძეში ამოვლებულს ტკბილად შეექცეოდით. ძილმა წაგართვათ თავი, მე კიდევ ძილის უფლება არა მაქვს თქვენი სიცოცხლის გამო. მალ-მალე გაღვიძებთ ჭრილობები, თავს არ განებებთ ტკივილები და თქვენი ტკივილები ჩემში იბუდებს, მაგრამ ვერასგზით გიფარავთ მისგან. ცაზე ვარსკვლავები არაა, რამე რომ ეთქვა ჩემთვის. გამოუცნობ სამყოფელში ვართ მოხვედრილები - არ ვიცი სადა ვართ, არც ის - გადაიღებს თუ არა წვიმა, არც ის - გათენდება თუ არა მალე. ვის უნდა შევეკედლოთ, ოთხი ქარის შესაყართან ვართ და ბოლო არ უჩანს ჩვენს მიუსაფარ ყოფას. იძინეთ, შვილებო, იქნებ სიზმარმა შვება მოგცეთ და სიზმარმა მაინც გადაგასახლოთ და დაგაბრუნოთ თქვენს წართმეულ ბავშვობაში. მე კიდევ თქვენი სიზმრების მცველი ვიქნები ამ ღამეში, ამ დაუსრულებელ ღამეში“...

თვალს რომ რული არ მიკარებოდა, იმღერა - „ლილეო — და, დიდება შენდა...“ უმღერა სინათლის დედას, თეთრი მზის დიდება იგალობა და შეევედრა ლილეს იმედის მიცემა. ფიქალის კოშკში ლოცვად დავარდნა აღუთქვა ლილეს, სამთას ფერხულში ჯიხვისა და არჩვის მსხვერპლად შეწირვა დაუთქვა ლილეს. ოქროს სასახლეც ახსენა, მამისეული ოქროს სასახლე, ოქროს დარბაზი, სადაც მისი მამის მამის - მზის სხივები იყო, იმ მზის სხივებს უხმობდა შველად. მონატრებოდა აიას კუნძული ოქროს გალავნებით, მშობლიური, ზღაპრული სითბო,- ამას დასტიროდა ლილეს მოხმობით. ოქროსრქიანი ხარების ოქროს გუთანში შებმულების ქედდადრეკილი სიამაყე ეტირებოდა და ტიროდა კიდეც ლი- [illegible]

და წვიმაც. სიმღერით კი იქ არ იმღერებდა, რადგან საკუთარ სახლში ყველაფერი სიმღერაა და მხოლოდ იქ არ იმღერებდა მედეა, იმდენად ყველაფერი სასიმღერო თვალსაწიერში ჰქონდა. და თუ იმღერებდა, მხოლოდ ამ ნეტარების წყურვილით.

ოცნებამ მამისეული სასახლე მოატარა, ძმასთან მოალერსა, მამას და მამიდას პატივი მიაგო და, როგორც ყოველთვის, მამის განებივრებული ქალიშვილი მამასთან ერთად სანადიროდ წავიდა. დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას და ცხენებზე ამხედრებულები განავარდნენ. სუნთქვაც თავისუფალია მამულში, სისხლიც სხვანაირად დუღს და ჟინიც განსხვავებულად გადმოდის ლავად სამზეოზე, და ეს იმიტომ, რომ საკუთარ სახლში ხარ და არ გეშინია წვიმის და ქარტეხილის, რამეთუ ელია და ლაზარე დაგიფარავენ - ელია თავისი ღვთაებრივი სიბრმავით, რომელიც ვერ ზომავს წვიმას და სეტყვას, ელვას და ჭექას ხან აქ გაელავს და ხან იქ ისეტყვებს და მისთვის ზარებს რეკავენ, ლაზარე კი თავისი კეთილგანწყობით, რომელიც ელიას ღვთაებრივ სიბრმავეს თვალხილულობითა და ყურადღებით ავსებს, ელიას წაჰგვრის მათრახს და გადაჭარბებულ სეტყვას წვიმას მოაყოლებს, და პირიქით. მოკვდავთა მეგობრები არიან ეს ორეული ღვთაებები.

და როგორი ნეტარია ბუნიაობისას შხაპუნა წვიმა საკუთარ მამულში ვარსკვლავთცვენის დღეს, როცა გაზაფხულის თავსხმაში ხომლთა ჩანჩქერთა წყლად გარდასახული მდინარება ქვეყნიერებისთვის. ლამარიას დღესასწაულზე პონტოის მოლივლივე ტალღებში დედიშობილა შესულიყო იგი და ზეცად აღემართა ხელები და ვარსკვლავთცვენის კოსმიურ ენერგიას იღებდა წვიმის მეშვეობით და ქალწულური სხეული მზეფერილობით ივსებოდა და ქალური ჟინი წვავდა ხორცის სინორჩეს და მოედინებოდა ასტრალეთი მის ნაზ სხეულზე და ხურვებას აგრილებდა თავისი შინაგანი მუხტით. უდარდელი ქალწულის ნათელი გონება და შეუბღალავი სხეულის წყალზე ასხლეტილი მოქნილობა ჰაეროვანი სისადავით ერწყმოდა ზღვიურ უკიდეგანო სივრცეს და ცასა და მიწას ჰორიზონტის მისტიკურ გასაყართან აერთიანებდა სიშიშვლე ქალწულური, რომელიც ელოდა მამრს, ცხოველური მიმზიდველობით რომ დააცხრობდა მოძალებულ ვნებას, ბუნიობით გამოწვეულს. ხელები მაღლა აეწია, სახე წვიმისთვის შეეშვირა და ფეხები განზე გაეწია თავისუფალი დგომით. კოსმიური ენერგია წვიმაში განსახიერებული სათუთად ეფერებოდა ქალს და თავით ეგებებოდა იგი წვიმას და ითხოვდა მზეს, თეთრ მზეს, სინათლის დედას. პონტოს ნაპირთან კი ქალვაჟების თამაშის რიტუალი იმართებოდა და იყო [illegible]

მხოლოდ განმეორდეს მოგონება პირვანდელის. ამით ის საწყისიც დაცულია თავის საკრალობაში და მისი მოგონების მარადი წყურვილიც.

ჰოდა, ლილეს ერთადერთხელ მღერიან მთაში იმ დიდებულებით, როცა ცა და დედამიწა მწვერვალთა სიმაღლეებიდან შერწყმულია არწივის სამზერალიდან, თვალის ჩინი რომ უტყუარია ამ დროს. მწვერვალთა სიმაღლეებიდან აღმაფრენილი ოცნება, ლილე-ქალღმერთისადმი ლოცვა მამაკაცური ექსტაზით ისეთივე მომნუსხველია, როგორც მედეა პონტოს ტალღებში ბუნიაობის თამაშობაზე გამარჯვებული,- არწივისებური მზერით, არწივის შესაფერისი თვალსაწიერიდან, არწივისეული მრისხანებით და სიხარულით, აღფრთოვანებითა და სივრცის შეგრძნებით, თვალთა ჭრილის არწივისმიერი წყობითა და ოდნავი კეხით, მიმზიდველი და მომხიბლავი რომაა, და არა ლამაზი, არც უნდა ყოფილიყო ლამაზი მედეა, იგი მხოლოდ გულთამპყრობელი და თავისი ეშხითა და წარმტაცებით ყოველი ჯურის მამრის მომაჯადოვებელია. ყველას სურდა მისი სარეცელი გაეზიარებინა. ამადაც მღეროდნენ მზე-უჭვრეტასთვის მზის სადიდებელს „ლილეო-და, დიდება შენდა!“ ვერ მოინადირეს კოლხმა ჭაბუკებმა მედეა, ვერც რომ გრძნობიერად, ვერც რომ ხორციელად. ასეთად მიუწვდომელი, ლილეს-დარი მიუწვდომლობით მოუხელთებელი იყო მათთვის კოლხი ასული. თავიანთ გულის ხვაშიადს ომის ღვთაება ვაშას ჭალებში იქარვებდნენ. ძლიერი ბიჭები იყვნენ კოლხები, ყველაზე ძლიერი ქალწულის დასაპყრობად კი თვით ვაშას წყალობამაც არა იკმარა. ვაშას ჭალაში კურული გაემართნათ და მინოტავრებს ბოჭავდნენ ცარიელი ხელებით, რადგან უყვარდათ ბიჭებს მედეა - მზის შვილ აიეტის შვილი. ბედმა კი სხვანაირად განაგო იღბალი და გამკრთალდა ციური ნათების მომხიბლაობა კოლხეთის ცარგვალზე და ჩაქრა ნათი თვალებში...

და დედა მღეროდა „ლილეს“ გადასაკარგავში თავსხმა წვიმაში მომაკვდავი შვილების ფერხთით და ქარიშხალს ეს გოდება მიჰქონდა არარაისში და დასანანი იყო, რომ ამ გრძნობიერ წამიერებას წამოეწეოდა ქრონოსი და შეჭამდა ისე, როგორც საკუთარ შვილებს და ვერავინ ისარგებლებდა ამ ნეტარი ხილვებით, ვერც ისაზრდოებდა თავისი სულიერების გამოსაწრთობად. მედეასთან და მის შვილებთან ერთად იკარგებოდა მედეას ნამღერი „ლილეო“. სხვები კი ამ სისპეტაკეს გრძნეულ შელოცვებად ჩათვლიდნენ, არ ეცოდინებოდათ რა, რომ ლოცვა და შელოცვა ერთი და იგივეც იყო რაღაც შემთხვევაში და სრულიად სხვადასხვა ცნებები განსხვავებულ ვითარებაში. მედეას ფიქრებში დუღდა სიცხადის ცხადლივი ცხადება და ცრემლებმა შეავსეს სახეზე დაღდასმული ნაადრევი ნაოჭები, თვალები, წარბები, სახის ყოველი ნაკვთი მღერადი მიმიკით ივსებოდა და ეს მაშინ, როცა სულაც არ ემღერებოდა. ქარს აეშალა ქალისთვის თმები და სათქმელის საღერღელი, თან უყურებდა და ხედავდა დედა შვილებს. ბავშვებს ეძინათ, ძილში დროდადრო გმინავდნენ, რაღაც გაურკვეველს ამოთქვამდნენ ხოლმე. ეს ძილი მოუსვენარი ძილი იყო.

მედეას ძილის სიმქაშმა წაართვა თავი, მის უკან კი შავეთის ზევსის ლეგიონი მოდიოდა და თავის მარწუხებში აქცევდა მომაკვდავებს, მაშინ, როცა დედა „ლილეოთი“ უმკლავდებოდა ძილსაც და ბნელეთსაც. ძილმა დაღლა გამოიწვია, დაღლამ მოქანცა მედეა, დედობრივმა გრძნობამ კი დასძლია დაღლას და უგალობა შვილებს „ლილეო“, ამის გამო ვერ ძლევდა სიკვდილი ბავშვებს. ეს იცოდა მედეამ და დიად ღამეში ქარიშხლისა და თავსხმა წვიმის ორომტრიალში შეუსვენებლად შველად უხმობდა ლილეს. არ გაიკარა სიახლოვეს ძილი ბნელეთთან უთანასწორო ბრძოლაში ჩართულმა ამორძალმა, თვით სიმღერა აძლევდა ძალას გამკლავებოდა სივრცეში მოჯარულ სიღამეს, რომელიც არ აპირებდა გათენებას. ცისკრის ვარსკვლავი გადაკარგულიყო ასტრალეთის ლაბირინთებში. სიშავის ლეგიონი ვერრას ღონილობდა ამ ერთი ციდა სულის ამონათების წინააღმდეგ, ვერ გადაფარა მან ნაკვესებად გავარდნილი გულის მხურვალე ძახილი. ღამეს კი უნდა დაეფლითა სუნთქვა მნათისმიერი. უფრო მძლავრად ვერავინ იმღერებს და ვერავინ მოუხმობს ლილეს, ვიდრე უცხო მხარეში დაკარგული მარადი მგზავრი, რომელსაც მოძალებია გულისტკივილი და ამ გულისტკივილს რული არასოდეს არ მიეკარება, სანამ თვითონ სრულად არ ამოიწურება - მთელი ადამიანი. მედეაც არ აპირებდა ამოწურვას თავისი ენერგიისას, მაგრამ იგი ადამიანი იყო, რომელიც ებრძოდა თავისი გულმხურვალე სიმღერით არამიწიერ და არაადამიანურ ძალებს. მან ისევ დახედა შვილებს. მათ ისევ ეძინათ, ალბათ უცნაურ სიზმრებს ხედავდნენ, ბავშვებისთვის შეუფერებელს, მათი სახეები მეტყველებდა ამას.

თეთრი ცხენი ყალყზე შედგა და არ მიატოვა პატრონი. ისიც ებრძოდა ღამის დაძინებას, რათა მასაც ეფხიზლა და არ გაემარჯვნა მასზე ჰიპნოზის მომაჯადოვებლობას, რომელიც გზას უხსნიდა თანატოსს. გრძნობდა ბედაური, რომ აღსასრულის ქურუმის ფრთებიდან სამარის სუსხი მოჰქროდა და სულს უყინავდა. წინა ფეხების ჰაერში აღზიდვითა და საზარელი ჭიხვინით უკუაგდო მფრინავი თანატოსისა და მისი ძმის შემოტევები. ღამემ კი კერი შვა, კეროსი. აქ აღარ იყო სვანთა სავანე, აქ ბნელეთი იბრძოდა თავისი ულუფისათვის, რომლის წინამძღოლი ღამის ახლადშობილი შვილი კეროსი იყო. ძილი და სიკვდილი - ეს იყო ყველაზე დიდი ღამის მისია, რომელიც აღუსრულებელი რჩებოდა და მანამდე იღამებდა, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევდა. მედეასაც ეჭვი აღარ ეპარებოდა იმაში, რომ ადრე თუ გვიან იგი ამ ბრძოლაში დამარცხდებოდა, მაგრამ როგორ - ამას ვერ წარმოიდგენდა, ისე კი, ცდილობდა გაეხანგრძლივებინა ეს ღამე, რადგან შვილების სიცოცხლე ამ ღამის ყოფნა-არყოფნას შეესაბამა. მან ისიც იცოდა - როცა დამარცხდებოდა, დამარცხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ არათუ დაიღალა, არამედ იმიტომ, რომ უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა და იგი არ დანებდა, ზემიწიურმა და ზეადამიანურმა ძალებმა იმძლავრეს მხოლოდ. ამას მტკიცედ ასიგრძეგანებდა თავის გონებაში და მეტის გამეტებით ებრძოდა უკუნეთს.

წრე შეიკრა და სალტედ შემორტყმოდა ძილი და სიკვდილი გაქცეულებს. მედეა მიწაზე გაერთხა და სიმწრისაგან არაადამიანური ბღავილით მიწას უკბინა და მიწას ემწარა დედის კბენა, ემწარა და შეინძრა კიდეც ტკივილისაგან. გაყინულ ბალახებს სისხლი წამოუვიდათ და შეკრთნენ. შეკრთნენ და მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხეს ერთმანეთს- „ვინ ჩაიყვანა ჭოტი ათენში?“ პასუხის გამცემი კეროსი იყო უსაშველო ღამის შვილი, მაგრამ იგი პასუხს არ იძლეოდა, მქუხარე ხარხარით პასუხობდა ამ კითხვას. დედა კი არ ანებებდა თავს მიწას, თავისი უკანასკნელი ძალ-ღონით კბენდა მიწას და მიწა ტოკავდა ტკივილისაგან, ღმუოდა, მაგრამ ეს ღმუილი შემზარავ ბუბუნში ჩაიხშო, რადგან მიწაც ძლიერი იყო და უძლებდა დედის დარდდაძლეულ ოხვრას. სამარის სუსხი კი ფესვებიანად გლეჯდა ხეებს. წვიმაც ბოლო წვეთამდე არ დაილია, რადგან ივსებოდა მოღრუბლული ღვარძლის ღრუბელი ცოდვა-მადლის განკითხვით.




გაყინული თვალებით ჩახედა სიბნელის სიბრმავემ ქალს, ასევე გაქვავებული გულით ქარიშხალმა თავზე გადაუფრინა და გონება გაუყინა მედეას; ამ გაყინული გონებით არ ანებებდა თავს საბედისწერო და უკანასკნელ შეტევაზე გადმოსულ სიკვდილს, რომელმაც ქიმერიული შემართებით მოსთხოვა შვილების სულთა დათმობა დედას. არ დათმო ქვეყანაზე ყველაზე ძვირფასი საუნჯე, დედა იყო იგი, და მიტომ. მედეა აღარ ტიროდა, იგი მრისხანე ამორძალად ქცეულიყო, მისი ბედაურიც ჭიხვინით ასკდებოდა უსაგნო ბნელეთს. აიდას მდინარეც გამოჩნდა, მომნუსხავი და შიშისმომგვრელი მდინარე. დედას შიში აღარ ეკარებოდა, თავისი შიში მოჭამა მან და ქცეულიყო უშიშად. მედეა ველარ გრძნობდა სხეულს, მისთვის აღარ იყო სააქაო, იგი გარდასახულიყო აბსტრაქციად, უსხეულო არსებად, განყენებულ ცნებად და არა პიროვნებად. სწორედ სულიერ შრეებში გრძელდებოდა ბრძოლა. ეს იყო მხოლოდ, რომ სხეული დაამარცხეს მისი, სიზმარეთში გადაინაცვლა და იქაც განაგრძო შვილების სიცოცხლისათვის ბრძოლა. ასეთი ომი შავეთის ზევსს არასოდეს გადაუხდია. სიკვდილის მთელი ლეგიონი ებრძოდა ერთ ქალს, რომელსაც სახელად აღარათუ მედეა, არამედ დედა ერქვა, ზოგადი არსი და არა ვინმე ესა და ეს. სასწაულებს ახდენდა იგი, ღმერთებზე აღმატებულ სასწაულებს.

ბავშვები კი უხმობდნენ დედას, დედას არ ესმოდა შვილების ძახილი, აგონიაში იყო ჩავარდნილი. ალბათ გამოთხოვება ეწადათ დედასთან შვილებს. რომ ვერ გააგონეს ხმა, უმცროსმა შვილმა თავისდაუნებურად იქვე მიწაზე განრთხმული დედა სურნელით იპოვა; ანაზდად მისი ძუძუ იპოვა პირით, მიხოხდა მასთან ახლოს და დედის ძუძუ ჩაიდო პირში. ტკივილმა და სიკვდილმა თავიანთი მარწუხები მოუჭირეს ბავშვს, მან კი სიმწრისაგან დედას ძუძუზე უკბინა, უკბინა, რადგან არც მას უნდოდა სული მიეცა თანატოსისათვის. ისე უკბინა, ისეთი ძალით, რომ დედის ზოგადი არსი წამში გადაიქცა განსხეულებულ მედეად. ამ კბენამ სიკვდილი მოიტანა და ბედის თუ ბედისწერის ჯიბრზე მასში შვილის კბილებით გადასული სიკვდილის დღესასწაულს შესცინა სახეში. ზეცა გაიხსნა ელვა-ჭექით დედის სიცილზე და დაიმსხვრა ყველაზე დიდი ღამე ქვეყნიერებაზე. იმ დილის მერე ასეთი უსაშველოდ გრძელი უკუნი აღარ ყოფილა დედამიწაზე, რადგან მედეასავით არავინ შერკინებია სიკვდილს შვილების სიცოცხლისათვის. იცინოდა მედეა და წაამწარა სიხარული თანატოსსა და ჰიპნოსს. ალმები დაუშვა დამარცხების ნიშნად სიკვდილის მხედართმთავარმა კეროსმა. სირცხვილი იდგა ქვეყნად.

## მესამე სათქმელი: მკვდარი სიზმრების გამოძახილი

პატარა ბავშვს ჯერ კიდევ თოთოს, ძლივს რომ მოესწრო ფეხის ადგმა, ალაპარაკება და დედის ძუძუს ვერ შელეოდა, სიკვდილშემოსილი წყლულებით დაკოდილიყო. ვერც გაეაზრებინა საკუთარ თავში, რა იყო ეს ტკივილი, აუტანელი ტკივილი, გონებას რომ აკარგვინებდა. არ აცლიდა მას სიმშვიდეს, თან სდევდა და ფერადი სიზმრების ხილვის საშუალებას უსპობდა, როგორც სპობდა მთლიანად მას. ყველაფერი, რაც მის თავს ხდებოდა, აღემატებოდა ბავშვურ წარმოსახვებს. ყველაფერი უნდოდა გაეგო; მოესწრო დედის ალერსი, მოესწრო სულ რაღაც ერთ მთლიან ღამეში დიდი ცხოვრებით ცხოვრება და გული მოეძლო ცხოვრების ამაოებით, მოესწრო პირველი ცოდვის ჩადენაც კი, რათა უცოდველად არ წასულიყო ამ ქვეყნიდან. ბავშვს კი სითბო უყვარდა და თამაში, დედისეული სითბო და მამისეული ზურგი. არავის ეცალა საამისოდ, რომ ბავშვს წილად რგუნებოდა სითბო და სიმაგრე. სიმაგრეს დედისგან გრძნობდა და ეს სიმაგრე მის პატარა ცხოვრებაში შეჭრილიყო არნახული ძალით და ის პატარა ჩვილი გადაქცეულიყო რკინის კაცად და მას არ უნდოდა ეს. მას დედის სითბო მონატრებოდა და გზადაგზა ამოიტირებდა მისი ბავშვობა, რადგან ტკივილები იმდენად აუტანელი იყო, რომ ვერათუ კაცობა, თანაც რკინის კაცობა, სწორედ რომ მისი უსუსური და დაუცველი არსება ეჭიდებოდა გამოუცნობ გრძნობებს, რასაც სასიკვდილო ჭრილობები ჰქვია. ვერ გაუძლო ბავშვის სხეულმა დედის გახევებული სიმაგრის ენერგიის გადმოსვლას მასში, ჯერ კიდევ თოთო იყო, და მიტომ. სიცივე თანდათანობით იპყრობდა მის პატარა ფეხებს, ნელ-ნელა შედიოდა მასში სიკვდილისეული სიცივე... და ბავშვი თრთოდა, ებრძოდა მისი სიცოცხლე აგონიით კვდომას. ამ სიმხურვალემ თრთოლა გამოიწვია, შიშნარევი სიმხურვალისგან რომ ემართებათ ხოლმე მომაკვდავებს, იფიქრა კი, შიშია ყველაფერი ეს გამოუცნობი ლანდების მიმართ. სანამ ძალა ჰქონდა, ფხიზლად ებრძოდა ტკივილებს. შავი ლანდი სწვდა ფეხებში ბავშვს, იგი კი დედას მიეკრა მთელი ძალით და არ უნდოდა წაყოლოდა ღამეულ განფენილობაში უხილაობით შევსილ ქიმერებს. თანატოსი კი ჩაეჭიდა მძლავრად მომაკვდავის წყლულებს და თანდისთანობით შედიოდა მის სხეულში, როგორც ულმობელი მესაკუთრე, მამის ნაცვალი-მესაკუთრე მის ცხოვრებაზე, რადგან მამა დაკარგულიყო თვალსაწიერიდან. ბავშვი კი მამას ეძებდა თვალებით, რათა იმედი მისცემოდა სიცოცხლის. დედამ ვერ შესძლო მამობა სრულფასოვნად გაეწია, მაინც დედა იყო, და მიტომ. ხოლო რაც შესძლო, მამის წილადაც კი, მამას ის არ გაუკეთებია თავისი შვილებისათვის.

ის ავბედითი სურათები უტრიალებდა გონებაში - ცუდი კაცები, თუ როგორ კლავდნენ მას, როგორი შემზარავი თვალებით იყურებოდნენ, როგორ დაუზოგავად ურტყამდნენ და როგორი უმოწყალობით გამოათრიეს თმებით თავშესაფარს შეფარებული ბავშვი და ურტყამდნენ რაღაცით, შიგნეული გრძნობდა ყველაფერს და გონების დაკარგვით დააღწია თავი ამ ცუდ კაცებს. ამ სახეების გახსენება აშინებდა, და ისე აშინებდა, რომ ტანში ზარავდა და ისედაც გაციებული ფეხებიდან სიცივე სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა. არ უნდოდა გახსენება, მაგრამ ძალაუნებურად თვალწინ ის გამხეცებული თვალები ელანდებოდა და მისკენ მოიწევდა. ამიტომ ბავშვი დედას უფრო მეტად ეკვროდა. არ უნდოდა დაენახა ის თვალები, უყურებდა კი, - ბავშვი იყო, და მიტომ.

სურდა, ეწადა ფერად-ფერად ყვავილთა მინდორში თამაში დალანდებოდა თვალებს. ტიროდა თავისი გულალალობით და ალბათ ქვეშეცნეულად დასტიროდა თავის დალეწილ ნაადრევად დასრულებულ ბავშვობას. იცოდა, რომ მის გვერდით დედა იყო და თვალებით ჰპირდებოდა მას ყველაფრის დაჯერებას, ოღონდ გადაერჩინა ამ საშინელი თვალების მოძალებისაგან.

უყურებდა დედას მაშინაც, როცა ეს ცუდი კაცები უმოწყალოდ სცემდნენ, დედის თვალებიც ჩარჩა პატარა, მაგრამ დიდ მახსოვრობას. მას აყურებინებდნენ, აიძულებდნენ მისი შვილების მკვლელობა დაენახა და შეეხედა. ვერაფერი იღონა მაშინ დედამ, რადგან ისიც დაჭერილი ჰყავდათ ცუდ კაცებს. საზარელი იყო დედის თვალები, ისინი არ ტიროდნენ, ისინი მრისხანე ზიზღით, არაადამიანური წყევით იყურებოდნენ, გახევებული იყო დედის გრძნობები, თითქო უგრძნობი იყოო, მაგრამ ის უძლურება ამ მზერის დამრთგუნველ ნიღაბში დამალა. ვერ უძლებდნენ მისი თვალების გამოხედვას ცუდი კაცები და ღრიალებდნენ - „ნუ მიყურებ, მედეაო!!!“ დედის მზერის სიმწარემ დააბრმავა იგი, ვინც ასე უმოწყალოდ გაუსწორდა მის შვილს, თვალები დაუწვა დედის თვალებმა. ამის

### ვუძღვნი დედის ლამაზ სულს

მერე აღარ გამოუხედია იმის თვალებს და თვალისჩინში აღარ შესულა მზე.

ბავშვი ცდილობდა აესხლიტა ეს მოგონებები, არ კი დაანება თავი თანატოსმა. ერთობ დააბრძენა იგი წყლულებმა და მან არ იცოდა, თუ რა იყო სიბრძნე, ნაადრევად შემოსულიყო მასში იგი, და მიტომ. გონებაში დედა დარჩა ამ ქვეყანაზე ყველაზე ძლიერი და უდრეკი ადამიანი და უხაროდა, ასეთი ძლიერი დედა რომ ჰყავდა, რომელმაც მოახერხა და გამოსტაცა თავისი შვილები მკვლელებს, ერთი მათგანიც დააბრმავა თავისი მზერის წყევისმიერი მრისხანებით, წინ ვერ აღუდგება მთელი ქვეყნის ლაშქარიც კი დედის თვალებს. ამას გრძნობდა ბავშვი და არ უნდოდა, რომ ეგრძნო, ასეთი ძლიერი დედა თუ ჰყავდა. მას უნდოდა, უფრო ნაზი ქალი ყოფილიყო მისი დედა. არ იცოდა: თუ იგი ასე-რიგად გადაურჩებოდა ამ კოშმარს, არასოდეს დაივიწყებდა ამ დღეს და მას კი უნდოდა ყველაფრის დავიწყება. ამიტომ ყოველთვის გაფრთხილდებოდა თვალთამზერის წინაშე განცდილის აღქმის განმეორებისაგან.

ბავშვი უყურებდა უსასრულობაში გადავარდნილ ღამის განფენილობას და ღამეში წვიმდა და წვიმამ დაბინდული გონება დაუბრუნა. მან შეამჩნია გზის უსასრულობა და ღამისეული თვალუწვდენლობა. დრო აახლოვებდა მას ღამესთან შესაჭიდებლად და მიხვდა, რომ ამ შეჭიდებაში მის გვერდით დედა აღარ იქნებოდა და მას მარტოდმარტოს მოუწევდა გადაცურვა ამ უკუნეთის. წვიმამ კი გამოაცოცხლა და შიმშილის არაადამიანური გრძნობა მოჰგვარა. იმ ღამით ყველანი არაადამიანებად ქცეულიყვნენ. ბავშვს შეეშინდა ამ უსასრულობის დაძლევა, რადგან იგი ხედავდა როგორც პატარა არაადამიანი, თუ რა წვეთი იყო იგი ამ წვიმიანი დიდი ღამის დროის ორომტრიალში მოხვედრილი, რომ მას არათუ ცუდი კაცების თვალები, ან შვილთა სიცოცხლეს მოჭიდებული დედის გაცხოველებული ჟინი, არამედ თვით ეს დიდი ღამე შეჭამდა და გადააქცევდა მას ღამის ნაწილად. მართალია, სამშვიდობოს იყვნენ გასულები, მაგრამ ჯერ კიდევ მშვიდობა არ დამდგარიყო. შიმშილმაც აუწვა ჭრილობები, მაგრამ წვიმამ გასწია საჭმელ-სასმელის მოვალეობა და გამშრალ ტუჩებს დაეპკურა მალამოდ. ერთადერთი იყო ის თავსხმა, რომელიც ართობდა და ეთამაშებოდა ბავშვს და აგრძნობინებდა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ბავშვი იყო და მას უნდოდა თამაში და არა ბრძენ-კაცივით ფიქრები. ამ თამაშთან ერთად შეიგრძნო სხეულმა სიცივის მოძალება, სიცივემ კიდევ შიშის მარწუხებში დააბრუნა ბავშვი, არ შეცოდებია, ისე.

ციოდა, უსაზღვროდ ციოდა ბავშვს და დედას ეკვროდა, დედისგან სითბოს ნაცვლად სიმტკიცე და შეუპოვრობა, რომ მოდიოდა და მას ეს არ უნდოდა ასე. ეძებდა მომაკვდავი სხეული სითბოს, წყუროდა სითბო, ეს ისედაც არაადამიანად გადაქცეული უბიწო და უმწეო არსება თვით ტკივილად გადააქცია სიცივემ. უკვე მარტო ჭრილობა კი არა, სხეულის მცირედ დარჩენილი საღი ნაწილიც კი სიცივის ტკივილში გახვეულიყო და თრთოდა. არადა, შიოდა. შიმშილმაც დათრგუნა იგი. ისევ დედაში ეძებდა შველას და გონების ხელახალ დაბინდებამდე სურდა დედისთვის ხმა მიეწვდინა. რაღაცას ამბობდა, მაგრამ თვითონ არ ესმოდა თავისი ნათქვამი. ძალა დაატანა ხმას, ვერ გაიგონა, ატირება უნდოდა, სადღაც გამქრალიყო ცრემლები, ნეტა თუ ესმოდა დედას შვილის წუხილი? არ იცოდა და შიშმა უფრო მეტად დათრგუნა ბავშვი.

სიმარტოვე იგრძნო, რაც აქამომდე მისთვის უცხო იყო და ისევ შიშმა გადაუარა სახეს და სიმარტოვესთან ერთად სიცივემ შეახსენა თავი. დედას კი ბავშვი მკერდში ჩაეკრა და დედა ვერ იგებდა შვილის მოუსვენრობას, მაგრამ გრძნობდა დედის ალღო ყველაფერს -

იმ ტკივილსაც,
იმ სიცივესაც,
იმ სიმარტოვესაც,
იმ შიმშილსაც,
იმ სიკვდილსაც, - დედა იყო, და მიტომ.

ღამემ თავისი ელვარე თვალებით ჩახედა ბავშვს და მან იგრძნო სისასტიკე ცუდი კაცების თვალებისა, რომელიც ლანდად გაჰყოლოდა გაქცეულებს და წყლულთა გაღიზიანებასავით მოქმედებდა და ამით ითრგუნებოდა ნება სიცოცხლის წყურვილისა. სისხლმა ძალა გამოაცალა და მიასავათა დედის მკერდზე მიკრული. ისევ და ისევ გონება გაფრენას აპირებდა, ნეტა კი მალე,- და იქ, სადაც ასე-რიგად მიიჩქარის დედა და სადაც გაუხარდება მას. დაიღალა სიბნელის სისრულით, ახლა კი სურდა სინათლეში გასვლა, წინ კი ყველაზე გრძელი ღამე იყო გადაფარებული ამ გზის სავალზე.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული“ №48, 2008

უკვე კარგა ხანია ნიუ-იორკში, ბრუკლინში, ბრაიტონ პირველ ქუჩაზე (იქ, სადაც კომპაქტურადაა დასახლებული ქართველი ემიგრანტები და გამოსასვლელ დღეებში ქართული ემიგრაციის შეკრების ადგილია), არსებობს ქართველ ემიგრანტთა მომსახურების ცენტრი.

ბევრი თქვენთაგანი დღის განმავლობაში მუშაობს და არ შეუძლია ცენტრში მოსვლა, ან ნიუ-იორკიდან შორს, აშშ-ს სხვადასხვა შტატში, ან კანადაში ცხოვრობს. ამის გათვალისწინებით ცენტრი მაღალი დონის კვალიფიციური მომსახურების გარდა გთავაზობთ მუშაობის მოქნილ გრაფიკს, რომელიც ხელს უწყობს იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, თქვენი სამსახურის სპეციფიკა წარმოშობს.

1. ცენტრში დარეკვა შეგიძლიათ დღის ნებისმიერ დროს (დღე-ღამის განმავლობაში, გვიან საღამოსაც კი, შაბათ-კვირის ჩათვლით,) და პასუხს მიიღებთ თქვენს სატელეფონო ზარზე, ან შეტყობინების დატოვების შემთხვევაში უმოკლეს ვადაში დაგიკავშირდებიან.

2. ცენტრში შეგიძლიათ მოგვაკითხოთ თქვენთვის სასურველ დღეს, შაბათ-კვირის ჩათვლით, თქვენთვის სასურველ დროს, 24 საათის განმავლობაში (დილით ადრე ან გვიან საღამოსაც კი) წინასწარი დაკავშირებით.

3. ჩვენ ვითვალისწინებთ იმასაც, რომ სამსახურის სპეციფიკის გამო უმეტესობას არ შეგვიძლია ბრუკლინში ჩამოსვლა, გარდა ამისა, ეს მგზავრობა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომაც ყველა ზემოთჩამოთვლილ სამსახურს ცენტრი გაგიწევთ ფოსტის საშუალებით (თქვენი პრობლემები მოგვარდება ადგილზე, სახლიდან გაუსვლელად და ზედმეტი დანახარჯების გარეშე).

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იმ საკითხს, რომ ცენტრი ყველა სახის მომსახურებას უმოკლეს ვადაში ახორციელებს. მაგალითად, დაბადების და სხვა სახის მოწმობების თარგმანი ჩვენს ოფისში 15 წუთში ხდება, მინდობილობისა და თანხმობის აპოსტილით გაკეთებას მხოლოდ ერთი დღე სჭირდება, ყველა სხვა სახის მომსახურებაც უმოკლეს ვადაში ხორციელდება.

ბევრმა ქართველმა დიდი ხანია იცის ცენტრის არსებობის შესახებ და კმაყოფილნი არიან მისი მომსახურებით. დაგვიკავშირდით და დაგეხმარებით თქვენი პრობლემების მოგვარებაში მოსახერხებელი ფორმით და უმოკლეს ვადაში.

**მომსახურება 24 საათი, 7 დღე, აშშ-ს ყველა შტატში და კანადაში, ინდივიდუალურად და ფოსტით, სახლში მომსახურებით, დაგვიკავშირდით წინასწარ.**

***3070 Brighton 1st street,***
***Brooklyn, NY, 11235, USA***
***Tel:718-490-3179;***
***Fax: 347-713-5386;***
***qartveliemigrantiusa@yahoo.com***

# ქართველ ემიგრანტთა მომსახურების ცენტრი

## ამერიკასა და კანადაში



- საემიგრაციო სამსახური;
- თარგმანი (დოკუმენტების და სხვ.) ნოტარიზებული;
- თარჯიმანი (სასამართლოში, ციხეში, საემიგრაციო და სხვა სახის ინტერვიუზე);
- მინდობილობა და თანხმობა აპოსტილით (ერთ დღეში!);
- დაბადების და სხვა სახის მოწმობები აპოსტილით (უმოკლეს ვადაში);
- საქართველოს პასპორტი (ვადის გაგრძელება 3 დღე; ახალი - 1 თვე; ვეხმარებით აშშ-ში ვიზის გარეშე შემოსულებსაც);
- ორმაგი მოქალაქეობა;
- ნიუ-იორკის მართვის მოწმობა (თეორიის გამოცდაზე გაყვანა, საჭიროა ფლობდეთ Social Security-ს);
- განქორწინება ნიუ-იორკში და საქართველოში (სასამართლოს გარეშე!);
- „Green Card“-ის ლატარეა (ოქტომბრიდან დეკემბრამდე)
- ნოტარიუსი, ფაქსი (მიღება-გაგზავნა) ნებისმიერ დროს

* მილოცვები ** განცხადებები ** მილოცვები ** განცხადებები ** მილოცვები ** განცხადებები ** მილოცვები ** განცხადებები ** მილოცვები *



შვილის - **ანას** გაბედნიერებას ვულოცავთ ჩვენს დათო და ლუდა შაქარაშვილებს.

... ვისია, ვისია, ეს ბიჭი ასეთი,
ან გოგო ვინ შექმნა ასეთი ქმნილება,
მეზობელ ქვეყნიდან, იმ მხრიდან, იმ კუთხის,
ქართული მიწის და ქართული მშვენება...

ბედნიერება ყოფილიყოს ანას და დათოს მომავალი.

**ნელი გელაშვილი,**
**მაყვალა კანაშვილი**

დაქორწინებას, ამერიკაში ახალი ლამაზი ოჯახის შექმნას ვულოცავთ ჩვენს **მაია მაკარიძესა** და **ფილიპ გრინელის**, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**გაზეთი „მამული“,**
**მეგობრები**



**Congratulation to Philip & Maia Grinnell on their Wedding 09/04/2008.**



*შეისწავლე ინგლისური!*

**ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით.**
**347-738-5265 ლელა**

**გთავაზობთ სატრანსპორტო მომსახურებას მინი-ვენის საშუალებით, ბარგის გადაზიდვას, ინტერვიუზე წაყვანას, აეროპორტში დახვედრას.**
**დარეკეთ: 646-886-8857 ნუგზარი**

**გაზეთ „მამულის“ რედაქცია უერთდება გია გოგილაშვილის ლამაზ ოჯახს უდიდეს სიხარულში, შვილიშვილის, პატარა ლუკას ამერიკაში მოვლინების გამო.**
**ორ ძამიკოს დაიკოც უნდა, და ჯერი თქვენზეა ახალგაზრდებო!**






* * *

დაბადების დღეს ვულოცავთ ქალბატონ **თინათინ ხამაშურიძეს,** ბედნიერებასა და სიხარულს ვუსურვებთ შვილთან და შვილიშვილებთან ერთად..

**პატივისცემით,**
**„მამულის“ რედაქცია**

* * *

**ჩვენს მიმოზა ახალაიას,**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, შვილების გაბედნიერებას და სამშობლოში წარმატებულად დაბრუნებას.

**სიყვარულით,**
**ლეილა მჭედლიშვილი, თამილა ზატიკაშვილი, მარინა ორჯონიკიძე, ანა ორჯონიკიძე, აზა ბრეგვაძე, ნანა ჩახნაშვილი, ნანა ანთიძე**

* * *

დაბადების დღეს ვულოცავ გიორგობისთვეში დაბადებულ ჩემს ძვირფასს მეგობრებს, - ქალბატონებს **რუსუდან ჩოგოვაძეს, მანჩო ჩიტაურს,** ბატონებს **გოგი ხაბელაშვილს, ნიკუშა ხარაბაძეს,** სიხარულსა და ბედნიერებას, ჯანმრთელობას და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრებას გისურვებთ.

**თქვენი,**
**მანუჩარ კაჭახიძე**

უკრაინელი დოქტორის **ვიქტორ გრიბენკოს კლინიკა**

გიწვევთ სამკურნალოდ და გთავაზობთ თბილ, მეგობრულ მომსახურებას, მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას



**ისწრაფეთ! დაავადების დროული პროფილაქტიკა და მკურნალობა ჯანმრთელობის საწინდარია. ვღებულობთ ყველა სახის სამედიცინო დაზღვევას.**

*დიაგნოსტიკა და მკურნალობა:*
ძვალ-სახსროვანი სისტემის; ოსტეოქონდროზის; დისკოზების; ნევროზის; ვენური უკმარისობა; ბლოკადა ქრონიკული დაავადებების დროს; აკუპუნქტურა-რეფლექსოთერაპია; ნარკომანიის ანონიმური მკურნალობა; სამედიცინო ექსპერტიზა; ტრავმები; მოტეხილობები; ავტოავარიები; სამუშაო კომპენსაცია



170 Avenue S
**(Corner West 7th Street)**
**Brooklyn, NY 11223**
**Tel: (718)382-8282**

242 East 19th st, S3
**Manhattan, NY 10003**
**Tel: (212)475-6249**
(Office of Dr. Ostrowski)

მაია ნინოშვილის სააგენტო

# Georgia-USA Travel

**ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით**

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

**1950 86th street, 2FL**
**Brooklyn, NY 11214**

# პოლიტიკური თავშესაფარი ახლა შესაძლებელია ქართველებისათვის!*



## ANDREW P. JOHNSON, ESQ.
## ანდრიუ ჯონსონი

(ყოფილი სახელმწიფო ადვოკატი, რომელიც ახლა ემიგრანტთა უფლებებს იცავს აშშ-ს მთავრობის წინააღმდეგ ბოლო 10 წელი)

**1-212-693-3355**

- უფასო კონსულტაცია;
- ადვოკატის ასისტენტი ყაზახეთიდან, რომელიც საუბრობს რუსულად;
- ჩვენ წარვმართავთ თქვენს ემიგრაციულ საქმეს, დეპორტაციას, Asylum-ის გასაჩივრებას და ოჯახურ პეტიციებს

* რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების საქართველოში შემოჭრისა და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს უჩნდებათ სამართლიანი საბაბი და თავშესაფრის მოთხოვნის უფლება შეერთებულ შტატებში, განპირობებული იმ საფრთხეებთან, რაც სამშობლოში დაბრუნებულებს ემუქრებათ!

ახალველ დასავლელის პატრონობით
რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კაჭახიძე
მამული
EDITOR & PUBLISHER MANUCHAR KATCHAKHIDZE
MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770
საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ახალველ-დასავლელი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით
რედაქცია მადლობას უხდის შემწეობისათვის ქალბატონებს მანანა ჯიქიას, ნინო ხარაბაძესა და დალი ხოფერიას